ფასი 40 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 29 პარასკევი 30 აგვისტო 1918 წ. № 29

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

## ქართულ კლუბში

კვირას, 1 სექტემბერს,

დანიშნულია

## ჰიმნის შეჯიბრება

## ქართველთა სამხედრო კავშირის

გაძლიერებული ქალ-ვაჟთა გუნდი ნ. გ. ქართველიშვილის ლოტბარობით შეასრულებს ორ განყოფილებაში ქართველ კომპოზიტორთა ჰიმნებს.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

ბილეთები დღეიდანვე იყიდება კლუბის კასაში. 3-1

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა"

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა»-ს კანტორა ამით აცხადებს, რომ ვინც ენკენისთვის პირველ დღეს ხელმოწერის ფულს არ შემოიტანს გაზეთის გაგზავნა მოესპობა

## ჭიათურისა და საჩხერის

## უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში

თავისუფალია 3 ადგილი: ქართული ენის მასწავლებლის, ხაზვა-ხატვის და საზოგადო საგნების. ჯამაგირი: 1.800 მან., 1.200 „სამხედრო" დამატება და დამატებითი ჯამაგირი 3 მარტის კანონის თანახმად. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს სასწავლებლის გამგის სახელობაზე ჭიათურაში. 2—2

## ქართული უნივერსიტეტი

ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოს 27 გამოცხადდა:

## „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად"

შევა არსებულ სიბრძნის მეტყველების (სისტორიო-საფილოლოგიო) ფაკულტეტს ენკენისთვიდან ემატება სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები.

სტუდენტებად მიიღებიან: 1) ყოველგვარი ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, 2) ყოველგვარი ტიპის საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური, საკომერციო, სამიწისმზომელო და საგრონომო, საეპარქიო და წმ. ნინოს სასწავლებლები, სამასწავლებლო და ქალთა ინსტიტუტები, კადეტთა კორპუსი, სასულიერო სემინარიები მართლმადიდებელთა (ოთხი კლასი) და გრიგორიანთა და სამასწავლებლო სემინარიები (1918 წელზე უფრო ადრე კურს დამთავრებულნი მხოლოდ სიბრძნის მეტყველების საპედაგოგიო და საფსიქოლოგიო დარგზედ მიიღებიან).

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა უნივერსიტეტის გამგეობის სახელობაზე (უნდა აღნიშნული იყოს ფაკულტეტი და მთხოვნელის მისამართი); 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ (დროებით შეიძლება დედნის მაგივრად პირი გამოიგზავნოს ნამეტურ ფოსტით) და 3) მეტრიკული მოწმობა.

მსმენელად ჩაწერისათვის განსაზღვრული ცენზი სავალდებულო არ არის და ასეთ პირთაგან საკმარისია მხოლოდ თხოვნისა და სწავლის ფულის შემოტანა.

სწავლის ფული ყველასთვის (სტუდენტებისა და მსმენელთათვის) სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) ათი თუმანია, რომელიც თხოვნასთან ერთად უნდა იქმნეს შემოტანილი.

უნივერსიტეტის კანცელარია ღიაა საღამოს 6—8 საათამდის, გარდა კვირა-უქმეებისა. თხოვნების მიღება ენკენისთვის ბოლომდის; სწავლის დაწყება 1 ოქტომბერს.

ფოსტით: თბილისი, ვაკე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3—1 უნივერსიტეტის გამგეობა.

## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ახ. სტილით). კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.

50—3 გიმნაზიის გამგე ს. ნ. ზულგინი.

## განცხადება

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ქვემოდ აღნიშნული საქონელი, გატანილი რკინის გზათა წესდების 84 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში, გაიყიდება თბილისის ცენტრალურ საწყობში „10" იანვარს 1919 წ. დილის ათ საათზე; გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად 11 იანვარს 1919 წ.

უდოკუმენტო ბაგაჟი.

მიღებული სამტრედიაში—ბათომიდან № 28310—7 ფ. 10 გ., ბათომიდან № 3303—7 ფ. 15 გ., ბათომიდან № 495—1 ფ. 12 გ., ბათომიდან № 315—1 ფ. 7 გ., ბათომიდან № 4844—6 ფ. 12 გ., ბათომიდან № 1397— 1 ფ. 10 ქ. ბათომიდან № 1314—2 ფ. 25 გ. ბათომიდან №83885 2 ფ. ბათომიდან № 6809—4 ფ. 10 გ., ბათომიდან № 36983—2 ფ. 20 გ., ბათომიდან № 4157 —წიგნები 30 გ., მიღებული ხაშურში—ფოთიდან № 72893—1 ფ. სამტრედიიდან № 57136 კაკალი წვრილი 1 ფ. 35 გ., მიღებული ყარსში—ცვეტკოვიდან № 1917—36 გ., კრიმსკიდან № 1502—1 ფ. 15 გ., მიღებული ახალსენაკში—ფოთიდან № 65247— 25 გ., მიღებული ნათლუხში—თბილისიდან № 24024 —1 ფ. 25 გ., ნაპოვნი თბილისის სადგურზე №№ 58, 59, 60, 62, 64, 65 და 66.

3—2

## ოფიციალური განყოფილება

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

26 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 30.

დაშვებულ იქმნეს დროებით: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის გადასახადების განყოფილებაში გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად ამიერ-კავკასიის სააქციზო გადასახადების სამართველოს ბუჰგალტერი ალექსანდრე არტემის ძე გურგენოვი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟ უ რ უ ლ ი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მთავრობის საქმეთა მმართველობა.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

28 აგვისტო 1918 წ.

№ 26.

შინაგან საქმეთა მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის ამსრულებელი, ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი, განთავისუფლებულ იქმნეს სამსახურის ასრულებიდან ორი კვირის ვადით, ამა აგვისტოს 27-დან დაწყებული.

ამ ვადის განმავლობაში მიენდოს ასრულება: 1. შინაგან საქმეთა თანამდებობისა დასახელებულ მინისტრის ამხანაგს გერასიმე თომას ძე მახარაძეს და 2. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობისა კონსტანტინე იაგორის ძე გვარჯალაძეს.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მთავრობის საქმეთა მმართველობა.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.

28 აგვისტო 1918 წ.

№ 27.

სერგი ივანეს ძე ყურულაშვილი დათხოვნილ იქნეს მთავრობის საქმეთა მართველობაში სამსახურიდან, მის თხოვნის თანახმად, 27 ამა აგვისტოდან.

საქმეთა მმართველი ს. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მიწათ მოქმედების სამინისტროს უწყების.

25 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 30.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ყოფილი საქმის მწარმოებელი იურის კონსულტის ნაწილისა კავკასიის მიწათ მოქმედების სამინისტროსი ი. ზ. ყორღანოვი ცენტრალური სადგილ-მამულო სამმართველოს აგრარულ რეფორმათა განყოფილების საქმის მწარმოებლად, 1918 წ. 9 აგვისტოდან.

მოქალაქე ა. ვ. ნანეიშვილი ცენტრალური სადგილ-მამულო სამმართველოს აგრარულ რეფორმათა განყოფილების საქმის მწარმოებლად.

მიწათ მოქმედების მინისტრი ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი.

27 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 31.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ი ქ მ ნ ე ნ: თანამდებობიდან შტატ გარეშე დარჩენილი, მიწათ მოქმედების მინისტრის კანცელარიის პირველი ხარისხის უმცროსი მონიხრე დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონის ძე ზედგინიძე 1918 წ. 1 სექტემბრიდან და მეორე ხარისხის უმცროსი მონიხრე მეჩისლავ ანტონის ძე გოდლევსკი 1918 წ. 1 სექტემბრიდან.

მიწათ მოქმედების მინისტრის მაგიერ პ. გელეიშვილი.

---

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1918 წ. 17 ივლისს.

№ 114.

დ რ ო ე ბ ი თ  დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, თიონეთის მაზრაში დროებით გამოგზავნილი მაჩაბლიშვილი, თიონეთის მაზრის კომისრის თანამდებობის აღმასრულებლად.

1918 წ. 23 ივლისს.

№ 118.

დ ა თ ხ ო ვ ნ ა ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე მუხთარ ალიევი მილიციის უფროსის და ბორჩალოს უბნის კომისარის თანამდებობიდან, 20 ივლისიდან.

1918 წ. 23 ივლისს.

№ 119.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე პავლე ასლანის ძე მკავანაძე მილიციის უფროსად ბორჩალოს უბნის, ბორჩალოს მაზრა, კომისრად 20 ივლისიდან.

25 ივლისი 1918 წ.

№ 120,

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე დავით ივანეს ძე ციცქიშვილი მილიციის უფროსის და ცხინვალის მაზრის საუბნო კომისრის თანამდებობიდან 1 აგვისტოდან 1918 წლისა.

25 ივლისი 1918 წ.

№ 121.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ვასილ გიორგის ძე ბოცვაძე მილიციის უფროსის და ცხინვალის მაზრის საუბნო კომისარის თანამდებობაზე 1918 წ. 1 აგვისტოდან.

25 ივლისი 1918 წ.

№ 122.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე თედორე მიხეილის ძე ჩალაძე მილიციის უფროსის და გომის უბნის კომისარის თანამდებობიდან ამა წლის 1 აგვისტოდან.

25 ივლისი 1918 წ.

№ 123.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ვასილ ბურბუტოვი მილიციის უფროსის და გომის უბნის კომისარის თანამდებობაზე ამა წლის 1 აგვისტოდან.

26 ივლისი 1918 წ.

№ 124.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ალახვერდი მამედოვი ბორჩალოს მაზრის კომისრის თანაშემწის თანამდებობიდან ამა წლის 20 ივლისიდან.

26 ივლისი 1918 წ.

№ 125.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ილია ლოლომბერიძე ბორჩალოს მაზრის კომისრის უფროს თანაშემწის თანამდებობაზე ამა წლის 20 ივლისიდან.

27 ივლისი 1918 წ.

№ 126.

თბილისის საგუბერნიო კომისარიატის საგანგებო მფრინავ რაზმს ამიერიდან ეწოდება „თბილისის საგუბერნიო ბ ა თ ა ლ ი ო ნ ი".

27 ივლისი 1918 წ.

№ 127.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ  ი ქ მ ნ ა: პრაპორშჩიკი გევორქ ტერ-მოსესოვი მილიციის უფროსის და ლორის უბნის, ბორჩალოს მაზრა, კომისრის თანამდებობიდან.

27 ივლისი 1918 წ.

№ 128.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ოგანეს სტეფანიანცი მილიციის უფროსის და ლორის უბნის კომისრის თანამდებობაზე.

27 ივლისი 1918 წ.

№ 129.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე გევორქ სოლომონის ძე მირაქოვი მილიციის უფროსის და ალავერდის უბნის, ბორჩალოს მაზრა, კომისრის თანამდებობიდან, რადგანაც მირაქოვი დანიშნულია თარჯიმანის თანამდებობაზე ბორჩალოს სამაზრო კომისარიატში.

27 ივლისი 1918 წ.

№ 130.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ვლადიმერ ჩხაიძე მილიციის უფროსის და ალავერდის საუბნო კომისრის თანამდებობაზე, ამ რიცხვიდან.

29 ივლისი 1918 წ.

№ 131.

გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი  ა რ ი ს: მოქალაქე ონოფრე სიმონის ძე ლაცაბიძე თიონეთის სამაზრო კომისრის თანამდებობიდან, მისი თხოვნის თანახმად, ავადმყოფობის გამო.

30 ივლისი 1918 წ.

№ 132.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ  ი ქ მ ნ ა: მოქალაქე გიორგი სტეფანის ძე ბერიძე თბილისის სამაზრო კომისარის თანამდებობიდან თხოვნის თანახმად, ამ რიცხვიდან.

30 ივლისი 1918 წ.

№ 133.

დ რ ო ე ბ ი თ  დ ა ი ნ ი შ ნ ა: პოდპორუჩიკი იოსებ სიმონის ძე გომართელი თბილისის სამაზრო კომისარის თანამდებობაზე.

---

## არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 30 აგვისტო.

ერთი ძალიან ძველი თქმულება ამბობს თუ მშვიდობიანობა გინდა, ომისთვის ემზადეო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ომისთვის ყველა სახელმწიფო ემზადებოდა, მშვიდობიანობა საშინლად დაირღვა და მთელი კაცობრიობა დღევანდელ გამანადგურებელ ომის ცეცხლში გაეხვია.

შეიარაღებულმა მშვიდობიანობამ დაბადა თანამედროვე სისხლის ღვრა. მილიტარიზმის ზრდამ წარმოშვა ომი და საერთაშორისო უბედურება.

ყოველ შემთხვევაში ის უნდა ითქვას რომ თავის ნებით არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთს ერს დღევანდლამდე არ შეეძლო და არც ახლა შეუძლია სამხედრო მზადებაზე ხელი აიღოს, მილიტარიზმი სავსებით მოსპოს და განზე გადგეს-მშვიდობიანობა წყურია, არაფერში არ ვერევი, თავი დამანებეთო.

კაპიტალისტური მსოფლიოს საყოველთაო მდგომარეობა ასეთია, რომ ერთის ლტოლვილება მშვიდობიანობისადმი, თუ ძირიანათ არ შეიცვალა ყველას საზოგადო საარსებო პირობებში, სრულიად ვერაფერს ვერ სცვლის და იძულებულია ქედი მოიხაროს მძაფრი მილიტარისტული სინამდვილის წინაშე.

თუ წინათ არსებობისთვის ბრძოლის დასახასიათებლათ ამბობდენ ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო, იგივე შეიძლება განვიმეოროთ სახელმწიფოთა ურთი-ერთშორის ბრძოლის შესახებაც. სახელმწიფო სახელმწიფოსთვის მგელია და ვაი იმას, ვინც ამ საერთაშორისო ბრძოლის ასპარეზზე სუსტია, უიარაღოთ რჩება და ყოველნაირათ მომარაგებული არ არის თავის არსებობის და ვინაობის დასაცავათ.

გენერალი ფონ-ფრეიტაგი სწერს: თუ გერმანია დღევანდელ ომამდე ხანგრძლივი მშვიდობიანობით სარგებლობდა, ეს აიხსნება მხოლოდ მისი სამხედრო ძლიერებით და არა მეზობლებთან დადებულ ხელშეკრულობის მეოხებით. ამას გერმანიის მმართველი წრეებისთვის აუცილებელი ჭეშმარიტების ძალა აქვს. ამიტომ ისინი მომავლისთვისაც იმაზრისა არიან, რომ უკიდურესობამდე შეაიარაღონ გერმანია და გააძლიერონ მილიტარისტული მზადება და სულისკვეთება.

რამოდენიმე ხნის წინად რუზველტმა განაცხადა: „ჩვენთვის მშვიდობიანობით სარგებლობის საუკეთესო საშუალება იმის დანახვაში მდგომარეობს, რომ ომი ჩვენ არ გვაშინებს. ამიტომ შეერთებულმა შტატებმა რაც შეიძლება მეტი საუკეთესო ტიპის ჯავშნოსნები უნდა შეიძინოს".

ამერიკის შეერთებულ შტატებს დღევანდელმა ომმა საბაბი მისცა თავის ხმელეთის და საზღვაო სამხედრო ძალები ერთი ათასად გაეძლიერებია და „თავის ინტერესების უზრუნველსაყოფად" ჩარეოდა საერთაშორისო ომში.

დღეს ამერიკა ინგლისის კოალიციასთან ერთად გერმანიას ებრძვის, მაგრამ ხვალ ის აუცილებლად შეუტევს იაპონიას, რომელიც ხელს უშლის მის სრულ ბატონობას წყნარ ოკეანეზე. მათი ინტერესები იმდენად ეწინააღმდეგება ერთიერთმანეთს, რომ შეუძლებელია დავა უიარაღოდ გადაწყდეს.

მებრძოლი სახელმწიფონი იარაღით ცდილობენ იმ საკითხთა გადაწყვეტას, რომელიც ეხება მთელი კაცობრიობის ინტერესებს და ცივილიზაციის მომავალს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მოწინააღმდეგენი დაიღალენ და დღეს თუ ხვალ ზავს მოსთხოვენ ერთმანეთს. პირიქით, გაფართოებული ბრძოლა გრძელდება, ომის ასპარეზი ფართოვდება.

მართალია, ერთი დიდი მებრძოლი სახელმწიფო—რუსეთი სასიკვდილოდ დაიჭრა, დაიშალა და როგორც ასეთი ბრძოლის ველზე აღარ სდგას. მაგრამ ამ გარემოებამ არა თუ შეავიწროვა, პირიქით გააფართოვა საომარი ფარგლები და კიდევ უფრო გაართულა საერთაშორისო მდგომარეობა.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ფოშის და მანჟენის იერიშები რაიმე გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენდეს დღევანდელი ომის მსვლელობაში. ეს, თუ გნებავთ, ომის ბედის უბრალო ცვალებადობაა. ხოლო საერთაშორისო ცაზე ისეთი არაფერი სჩანს ზავს რომ წინამორბედობდეს ახლო მომავალში.

ზავის მოახლოვება შეგვეძლო გვეფიქრა ორ შემთხვევაში.

ან მეომარი კოალიციები იმდენად დაასუსტებდენ და შემუსრავდნენ ერთი მეორის ძალებს, რომ ომის გაგრძელება ფაქტიურათ შეუძლებელი იქნებოდა. ან თვით მებრძოლ სახელმწიფოებში იფეთქებდა ხალხთა აჯანყება ომის დამაქცევარი პოლიტიკის წინააღმდეგ და საერთაშორისო დემოკრატია ერთსულოვნათ აამართავდა საყოველთაო ზავის დროშას.

პირველი, როგორც მოვიხსენიეთ, ჯერ არ მართლდება. არც ერთი მოწინააღმდეგე არ გრძნობს თავის თავს დამარცხებულათ. ორივე კოალიცია ძალ-ღონეს იკრებს და შეუბრალებელი სისასტიკით უშენენ ერთმანეთს.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, უნდა ვთქვათ, რომ საერთაშორისო დემოკრატია ჯერ ამ ომის განმავლობაში არ გაერთიანებულა, რომ საერთო საზავო ლოზუნგები ერთი პირით გადაესროლოს მშრომელი კაცობრიობისთვის და მქუხარე ხმით მოეთხოვოს იმპერიალისტურ მთავრობისთვის იარაღის დაყრა და ხალხთა შორის მშვიდობის აღდგენა. ეს იქნებოდა უდიდესი საკაცობრიო დემონსტრაცია, რომელიც ბოლოს მოუღებდა ომის სისხლის წვიმებს. ეს იქნებოდა საერთაშორისო ანტიმილიტარისტული რევოლიუცია, რომელიც დასაბამს მისცემდა ახალ გამათავისუფლებელ ხანას, ახალ სოციალურ ურთიერთობას.

მაგრამ დემოკრატია დღეს კიდევ უძლურია, რომ შესძლოს ყველა სამტრო ძალის დაძლევა და ტვირთმძიმეთა მდგომარეობის რადიკალურათ შეცვლა.

ცხადია, ზოგან დიდი გაფიცვები და სოციალური ბრძოლის იქა-აქ ამოვარდნილი ალი მრავალ-მეტყველი მაჩვენებელია იმისა, რომ დიდხანს ომის შემხუთველ პირობებს ერი და კაცობრიობა ვეღარ გაუძლებს. ხოლო ამ მნიშვნელოვან მოვლენებს ბალშევიკურათ ვერ ავხსნით და საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას ვერ დავინახავთ იქ, სადაც განსაზღვრულ ფარგლებში მხოლოდ სოციალურ-ეკონომიური მოძრაობის ზოგიერთ ფორმებს აქვს ადგილი.

საერთოდ კი ყველგან ემჩნევა დემოკრატიულ კლასების გავლენის ზრდა შინაურ ცხოვრებაში. და ეს არის ყველაზე უფრო საფუძვლიანი გარანტია იმის, რომ ქვეყანა თავს დააღწევს ომს და მის მიერ გამოწვეულ საშინელ შედეგებს.

ასიწლის წინათ, ნაპოლეონის ომები დასრულდა ვენის კონგრესით, სადაც შეიკრა მონარქთა სამღვთო კავშირი დემოკრატიასთან საბრძოლველად. აქ სრულიად არ ისმოდა ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთა ხმა.

დღევანდელი ომი ადრე იქნება თუ გვიან დასრულდება მსოფლიო კონგრესის მოწვევით, სადაც გადაწყდება დიდი საერთაშორისო კითხვები, რომელიც ღრმათ აფიქრებს და აღელვებს დღეს კაცობრიობას.

მაგრამ ამ კონგრესზე იმდენად ძლიერი იქნება დემოკრატიის ხმა და გავლენა, რომ პირდაპირ შეუძლებელია ხალხთა ჭეშმარიტი ინტერესები დავიწყებულ იქნეს და ხანგრძლივი ზავი არ დამყარდეს საერთაშორისო ურთიერთობაში.

ეს უთუოდ საშუალებას მისცემს საერთაშორისო დემოკრატიას, რომელიც დღეს დაქსაქსულ-დასუსტებულია, იმდენათ გამაგრდეს და გაძლიერდეს, რომ შეუძლებელი გახდეს ზავის დარღვევა და ომის გაჩაღება.

საქართველოს დემოკრატია ყოველთვის პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას როგორც თავის რესპუბლიკის ხელუხლებლობის და თავისუფლების დაცვაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში მტკიცე მშვიდობიანობის და სოლიდარობის გამტკიცების საქმეში.

---

## ეროვნულ უმცირესობის საკითხის გამო.

I.

დღეს ეროვნულ-ტერიტორიულური ავტონომია არის კუთვნილება მხოლოდ იმ დამოკიდებული ერისა, რომელსაც შერჩენია საკუთარი მიწა წყალი, რომელიც საკუთარ ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობს.

ის ეროვნული უმცირესობა, რომელიც ცილდება საკუთარ მიწა წყალს და სხვა ერს, სხვა სახელმწიფოს ეკედლება, ამით ჰკარგავს უფლებას, რომელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული ეროვნულ მიწა წყალთან.

მე მესმის მიტოვება საკუთარი სამშობლოსი და ახალი სამშობლოს ძებნა და მოპოება იარაღით, როგორც ეს ოსმალებმა ჩაიდინეს ამ რამოდენიმე საუკუნის წინეთ, როდესაც ბიზანტიის იმპერია დაამხვეს და იმის ალაგას საკუთარი ახალი სამშობლო დაამკვიდრეს.

გამარჯვებულს საკუთარი კანონები აქვს, რომელსაც ის ძალით, იარაღით ახორციელებს.

ჩვენკი ვლაპარაკობთ საპარლამენტო კანონებზე და უფლებაზედ.

ეროვნული უმცირესობა, რომელიც მიეკედლება სხვა ერს, ამით ხდება მორჩილი ამ ერის კანონებისა და მისი სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ჩვენს სამშობლოში დიდი ხნიდან არიან შემოხიზნული სხვა და სხვა უმცირესობანი: სომხები, ოსები, თათრები, ბერძნები, რუსები.

თავის თავათ ცხადია, რაკი საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და ის აღარ შეადგენს დიდი რუსეთის იმპერიის ნაწილს, ყველა იმ უმცირესობას, ვინც რაიმე მიზეზისა და მოსაზრებისა გამო ასეთს ახალს პირობებს ვერ შეურიგდება, ვერ დაემორჩილება, სრული უფლება აქვს, გავიდეს აქედან და გადასახლდეს სხვაგან, ან თავის ძველ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდეს.

ასე იქცევა მაგალითათ რუსების ერთი ნაწილი. დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრება მისთვის არ არის ხელ-საყრელი, ის სტოვებს აქაურობას და ბრუნდება რუსეთში.

ხოლო ის, ვინც რჩება აქ, ემორჩილება ჩვენი რესპუბლიკის კანონებს და წესწყობილებას, უფლებრივ დებულებებს. არც ერთ ეროვნულ უმცირესობას ჩვენში არა აქვს უფლება, ისე როგორც არსად არ არსებობს ამგვარი უფლება,—მოითხოვოს საკუთარი ეროვნული მთავრობა, საკუთარი ადმინისტრაცია, კანონები, სასამართლო და სხვ.

სხვის ოჯახში თუ შედიხართ, ამ ოჯახის წესრიგი უნდა დაიცვათ.

ხოლო ყოველ ეროვნულ უმცირესობას აქვს სრული უფლება, მოითხოვოს ყველგან, სადაც კი უნდა იყოს, უზრუნველყოფა თავისი ეროვნული სახის შერჩენისა და განვითარებისა.

ამისათვის კი საჭიროა თავისუფლება და დამოუკიდებლათ მოქმედება ეროვნული კულტურის საქმეებში.

ამას მოკლეთ უწოდებენ კულტურულ ავტონომიას.

ყოველ ეროვნულ უმცირესობას აქვს უფლება, იქონიოს საკუთარი სასწავლებლები, საკუთარი ეკლესიები, საკუთარი კულტურული და საქველმოქმედო დაწესებულებანი, საზოგადოებანი და სხვა, სადაც გამეფებული იქნება საკუთარი ეროვნული ენა.

ამ უმცირესობათა შორის მომქმედ სასამართლოებში საქმეები უნდა ირჩეოდეს უმცირესობათა ენაზედ, ადმინისტრაციამ უნდა იცოდეს მათი ენა და სხვ.

ამ ზოგადი მოსაზრებიდან თუ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს მივმართავთ, შემდეგს მივიღებთ.

ჩვენში ოსებს, სომხებს, თათრებს, ბერძნებს, რუსებს უნდა ჰქონდეთ სრული თავისუფლება საკუთარ ეროვნულ კულტურულ საქმეებში. იმათ კულტურულ დაწესებულებებში იქნება მათი საკუთარი ენა.

მათა აქვთ საკუთარი სასწავლებლები, საკუთარ ენაზე წირვა-ლოცვა, ემორჩილებიან რესპუბლიკის საერთო კანონებსა და წესწყობილებას.

გამაგრებულ დემოკრატიულ წესწყობილებას, რომელ ფარგლებშიაც გაიზრდება იგი და უკვე ამით შეთვისებული ექნება დემოკრატიული პრინციპები.

გლეხობამ ორჯერ დამარხა რევოლიუცია, ერთხელ ნაპოლეონ I-ისა და მეორედ, 50 წლის შემდეგ, ნაპოლეონ III-ის თვით მპყრობელათ არჩევის დროს. პრუსიაში 1848-49 წ. წ. რევოლიუცია იმავე გლეხობამ დაამარცხა, როდესაც მიწები მიისაკუთრეს და ეგონათ, რომ სოფლებიდან მემამულენი სამუდამოთ განიდევნენ. გლეხობას არ ესმოდა (ჩვენებური ბალშევიკების არ იყოს) რომ მიწის კონფისკაცია და მათ ხელში გადასვლა სახელმწიფოებრივად, კანონით უნდა მომხდარიყო. რეაქცია, რომემაც ქალაქში გაიმარჯვა, დაბრუნდა სოფლად და ძველი წესწყობილება აღადგინა

საქართველოშიც ერთად ერთ საშიშროებას რევოლიუციისა და რესპუბლიკისათვის გლეხების მხრიდან უნდა ველოდეთ. სჩანს კიდეც ამისი ნიშნები.

მაშ რაღაშია საქმე? გლეხობა, რომელიც თითქო მთავარ ძალას წარმოადგენს რევოლიუციისათვის, რათ მარხავს მას?

დემოკრატია არის ხალხის პოლიტიკური ბატონობა,—პოლიტიკური თვითმართველობა, ე. ი. ისეთი წესი, როდესაც ხალხი თვით არის თავისი თავის ბატონ პატრონი. როდესაც რომელიმე კლასს ამისი უნარი არა აქვს მისთვის დემოკრატიული წესი მიუღებელია. აი სწორედ ასეთი კლასია გლეხობა. რათა?

ამის საუცხოო პასუხს იძლევა კ. მარქსი. ის ამბობს:

წვრილი გლეხობა უშველებელ მასსას შეადგენს, რომლის წევრები ერთნაირ პირობებში სცხოვრობენ, და ერთმანეთთან არა აქვთ რაიმე მჭიდრო დამოკიდებულება. იმათი წარმოების საშუალება არა თუ აახლოვებს მათ დამოკიდებულებას, არამედ სრულიად ანცალკევებს ერთი მეორისაგან. გლეხის ყოველი ცალკე ოჯახი საკუთარი ძალით ჰქმნის თავის საჭიროების საგნების უმეტეს ნაწილს და ამიტომ ის ბუნებასთან უფრო დაახლოვებული, კიდრე საზოგადოებასთან. ნაჭერი მიწა, გლეხი და მისი ოჯახი; იქვე, გვერდით მეორე ნაჭერი მიწა, მეორე გლეხი და მისი ოჯახი. მილიონი ოჯახები იმყოფება ასეთ ეკონომიურ მდგომარეობაში. თავის საკუთარი ინტერესების, თავისებური ცხოვრების და გაუნათლებლობის გამო ისინი მეტად განირჩევიან სხვა კლასებიაგან, თითქმის მტრულადაც უცქერიან მათ და თვით წარმოადგენენ კლასს. რამდენათაც მცირე მიწის მქონე გლეხებ შუა არის შეთანხმებული, უჭკნობული ურთი-ერთობა, იმდენათ მათი ინტერესების ერთგვარობა არ ჰქმნის არავითარ კავშირს, ეროვნულ დაახლოვებას, პოლიტიკურ ორგანიზაციას. ამიტომ მათ თავის კლასიური ინტერესების პარლამენტში დაცვა არ შეუძლიანთ, ეს ინტერესი უნდა დაიცვას სხვამ, მათმა წარმომადგენელმა, რომელიც იმავე დროს იმათი ბატონიც არის განუსაზღვრელ პოლიტიკურ უფლებით აღჭურვილი. ამგვარად მცირე მესაკუთრე გლეხების პოლიტიკური გავლენის მიზეზია ის, რომ საზოგადოებას აღმასრულებელი ძალა იმორჩილებს.

როგორცა ხედავთ წარმოების საშუალება, გლეხური მიწათმფლობელობა და მისი დამუშავება, ჰქმნიან ისეთ პირობებს, რომ მათი გაერთიანება და პოლიტიკური ბატონობა შეუძლებელი ხდება. მოძრაობაში იგი მონაწილეობას ღებულობს, როგორც უზარმაზარი დამგრეველი ძალა, ცეცხლის გაჩენით, მემამულეთა დარბევით, მკვლელობით და სხვ. მაგრამ მონაწილეობენ მხოლოდ მიწის მისაკუთრების გულისათვის და როგორც კი რწმუნდებიან, რომ თავის მიზანს მიაღწიეს, ადგილზე შემოვლებული მესერი გაფართოვდა, ამის შემდეგ აღარავითარი პოლიტიკური საკითხები აღარ აინტერესებს. ის კი არა ხან და ხან რევოლიუციის წინააღმდეგაც გამოდიან და თავის განმანადგურებელ ძალას დემოკრატიის წინააღმდეგ ხმარობენ.

ამის კლასიკური მაგალითია ვანდეა. საფრანგეთის გლეხებმა დიდი რევოლიუციის დროს ორგვარი სარგებლობა ნახა. მიიღეს სრულიად უფასოდ ის ადგილები, რომელიც იჯარით ან ყმობის უფლებით ჰქონდათ დასამუშავებლად (როგორც მაგალითად ჩვენს ხიზნებს და დროებით ვალდებულ გლეხებს) და ფულით იყიდეს მემამულეთაგან კონფისკაციით ჩამორთმეული ადგილებიც. და როცა ყოველივე ეს ხელთ იგდეს, რესპუბლიკის წინაშე რაიმე ვალდებულებაზე უარი სთქვეს. წარმოიდგინეს, რომ რესპუბლიკა მათ სრულიად აღარ ეხება. არც ჯარში გადიოდნენ და არც გადასახადს იხდიდენ. როცა მთავრობამ მოინდომა მათი ჯარში გაყვანა და გადასახადების აკრეფა, აჯანყდნენ. ეს მოძრაობა მოედვა ხუთ დეპარტამენტს, შეიქნა ცარცვა-რბევა, მკვლელობა, დაწვა და განადგურება. კონვენტის მომხრე რევოლიუციონერებს და მთავრობის აგენტებს ჰკლავდნენ და ასახიჩრებდნენ სწორედ ისე, როგორც ეს ჩვენში მოხდა, მაგ. დუშეთში, ცხინვალში და სხ. როგორც იყო ჩააქრეს ეს მოძრაობა, ჯარშიც გაიყვანეს, გადასახადებიც აჰკრიფეს, მაგრამ სამაგიეროთ რამდენიმე წლის შემდეგ, არჩევნების დროს, ყოველივე ამას ნაპოლეონის ამორჩევით უპასუხეს. მართალია ნაპოლეონსაც გაჰყავდა ჯარში, ჰკრეფდა გადასახადებს, მაგრამ იმაში ბატონსა და ბრძანებელს ხედავდნენ, რომელიც იმათზე ზრუნავს და ფიქრობს და ამიტომ უნდა დავემორჩილოთო. მაშინ, როდესაც რესპუბლიკა—მათივე მსგავსი კაცებისაგან შესდგებოდა და არა სთვლიდენ ბატონ-პატრონად.

დემოკრატიული თვითმართველობა გლეხობისათვის მიუწდომელია. ასევე მოხდა იმავე საფრანგეთში 48 წ. რევოლიუციის დროს, რომელშიაც გლეხობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ როცა კი მოსთხოვეს ჯარში გასვლა და გადასახადები, აყაყანდენ და როგორც მარქსი ამბობს, ერთხმად დაადგინეს, რომ: „ეს პარიზის მუშების ბრალია, რომელთაც ჩვენ ზურგზედ უნდათ განცხრომით მოწყობაო“. ეროვნულ საბჭოში ამოირჩიეს კონტრ-რევოლიუციონერები, პროლეტარიატის მტერნი, რომელთაც ივნისის ქლეტა მოახდინეს და 10 დეკემბრის დადგენილებით მთელი ძალა-უფლება ნაპოლეონ მესამეს ჩააბარეს.

იტყვიან: მთელი გლეხობა ხომ არ ყოფილა კონვენტის წინააღმდეგი. იყვნენ აგრეთყე ნაპოლეონის მოწინააღმდეგენც, რომელთა აჯანყება ნაპოლეონ მესამემ ხიშტებით ჩააქრო.

მართალია, მაგრამ არის ორი ჯგუფი გლეხობისა: ერთნი—ჩამორჩენილი, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ქალაქთან, მის მუშებთან და შემოფარგლული არიან ცენტრიდან მოშორებულ კუნჭულებში, მეორენი—რომელნიც ქალაქთან ახლო ცხოვრობენ, დადიან ქალაქში სამუშაოთ თავიანთი ბიუჯეტის შესავსებად და მუშათა კლასის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. პირველნი რეაქციის ნიადაგია, მეორენი ემხრობიან რევოლიუციონურ მუშათა დემოკრატიას და თუმცა თავის თავად სარევოლიუციო ინიციატივის უნარი არა აქვთ, მაინც მიჰყვებიან მუშათა კლასის გზას და მათ ხელმძღვანელობას ექვემდებარებიან.

ჩვენში, საქართველოში გლეხობის ეს ორი სხვა და სხვა ჯგუფი ნათლათ იხატება. დუშეთის, ლეჩხუმის და ზუგდიდის ჩამორჩენილ რეაქციონერ გლეხებთან ბრძოლაში, ჩვენ ვეყრდნობით სხვა მაზრების მოწინავე გლეხობაზე.

როგორცა ხედავთ, ის, რაც ხდება ჩვენ ზოგიერთ სოფლებში, არა ახალია—ასევე იყო ძველათაც. თუმცა ჩვენ არ უნდა გაგვაკვირვოს გლეხთა აჯანყებამ, მაგრამ იმდენად დავივიწყეთ მარქსიზმი და ესერულ მეშჩანობას გავყევით, რომ აქამდე ბევრი ჩვენში ამ აჯაყებულებს რევოლიუციონერებად სთვლიან და ძნელად თანხმდებიან მათ წინააღმდეგ რეპრესიულ ზომების მიღებაზე. დროა ბოლო მოუღოთ ჩვენს ს.-დ. პარტიაში ასეთ შეხედულებას, დაუბრუნდეთ მარქსს და ფხიზლად დავდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე გლეხთა რეაქციის წინააღმდეგ, რომ მათ გაუმკლავდეთ და შევინარჩუნოთ რევოლიუციის მონაპოვარი.

თუ ჩვენ ამაში გავიმარჯვებთ, ეს იქნება პირველი მაგალითი ისტორიაში, რომ გლეხობამ ვერ დასცა დემოკრატიული რესპუბლიკა და პოლიტიკურ თვითმართველობის გზას დაადგა.

(შემდეგი იქნება)

## პარლამენტის გარშემო

დღეს ეროვნული საბჭოს სხდომაა.
დღიური წესრიგი.

1. საბოლოო ტექსტი საბაჟოების მოწყობის კანონისა.
მომხსენებელია სამსონ ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა.
2. საბოლოო ტექსტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანონისა.
მომხსენებელია სამსონ ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა.
3. განხილვა კანონ-პროექტისა—ეროვნულ საბჭოს სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენელთა ჯამაგირების გათანასწორების შესახებ.
მომხსენებელია ა. ა ს ა თ ი ა ნ ი.
4. განხილვა კანონ-პროექტისა სხვა და სხვა უწყებათა სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ.
მომხსენებელია ნოე ც ი ნ ც ა ძ ე.
5. განხილვა კანონ-პროექტისა—„განათლების“ საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგებლობაში მიღების შესახებ.
მომხსენებელია ნოე ც ი ნ ც ა ძ ე.
6. განხილვა კანონ-პროექტისა სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიის გაეროვნების შესახებ.
მომხსენებელია ნოე ც ი ნ ც ა ძ ე.
7. განხილვა კანონ-პროექტისა განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და შტატების შესახებ.
მომხსენებელია ნოე ც ი ნ ც ა ძ ე.
8. განხილვა კანონ-პროექტისა სამრეწველო ნიხრზედ გარდასახადის გადიდების შესახებ.
მომხსენებელია იასონ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.
9. განხილვა დებულებისა რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოსი.
მომხსენებელია იესე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.
10. განხილვა კანონ-პროექტისა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა ეროვნულ საბჭოში.
მომხსენებელია შალვა მ ი ქ ე ლ ა ძ ე.
11. საბჭოს წევრის—ალექსანდრე ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა—პურის და სანოვაგის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ საქართველოს და მოუკიდებლობისა და რესპუბლიკის მთავრობის წინაღმდეგ.

## უცხოეთი.

იაპონია.

„ბერ. ტაგებლატს“ რეიტერი ოფიციალურად ატყობინებს: „იაპონიამ მიიღო შეერთებულ შტატების წინადადება, რომ ციმბირში ჩეხო-სლოვაკებს დაეხმაროს. იაპონიის გამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო მთავრობამ, პარლამენტში მყოფ ძლიერი ოპოზიციის მიუხედავათ. გადაწყვეტილების მიზანია რუსეთის ყოფილ ფარგლებში აღდგენა და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცება-

ჩინეთი.

სტოკჰოლმიდან ცნობაა, რომ ჩინეთის მთავრობამ ციმბირის მთავრობას შეატყობინა: იაპონიასთან ერთად დავეხმარები ციმბირის მთავრობას და ამისათვის ახლო მომავალში ხარბინში ჩავლენ ჩინეთის ჯარები, რომელნიც იაპონიის ჯარებში იქნებიან შერეულნი იაპონელ სარდლის განკარგულებაში.

ინგლისი.

როტერდამიდან იტყობინებიან, რომ 29 ივლისს ინგლისის მინისტრ-მუშის წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელიც მუშების მიმართ იყო მიმართული, დიდი გავლენა მოახდინა და იმ საღამოსვე თითქმის მთელ სამეფოში შესწყდა გაფიცვებიო.

ოსმალეთი.

ბერნში მყოფ ოსმალეთის ელჩმა 30 ივლისის თარიღით გამოაქვეყნა ცნობა, რომლითაც აქარწყლებს გაზეთებში დაბეჭდილ ამბებს საზღვარგარეთელ შეთანხმებათა წრეებთან ოსმალეთის დაახლოვებას. ოსმალეთის მთავრობას ასეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და სტამბულში ბერნიდან ჩამოსულ ოსმალეთის ელჩს ამ კითხვასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვსო.

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

○ შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო ქუთაისიდან საგუბერნიო კომისარ გრიგოლიასაგან: „გთხოვთ მაცნობოთ, მიიღო თუ არა ეროვნულ საბჭომ კანონი საგანგებო სასამართლოების შესახებ. საჭიროა ხატანების თავდასხმის საქმის განხილვა სასწრაფოდ. არიან სხვა პატიმრებიც, რომელთაც სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ბრალდებათ და მათი საქმის დროთი განხილვაც საჭიროა გუბერნიაში წესიერების დროზე აღსადგენად. ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ჯერ არავითარი ცნობა არ მიუღია ამის შესახებ.“

○ ქ. დუშეთის მეციხოვნეთა უფროსი გრიგოლია შემდეგს აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს: თანახმად რაზმის უფროსის გენერალ კონიაშვილის ბრძანებისა, ლტოლვილების გაშვების შესახებ ვუბრძანებ ჩემდამი რწმუნებულ გარნიზონის სახელმწიფო ყველა დაწესებულებებს, არ გამოუშვან თბილისიდან დუშეთში საქართველოს სამხედრო გზით არც ერთი ლტოლვილი განკარგულების მოხდენამდე.

○ შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისის და ქუთაისის გუბერნიის კომისრებს და თბ. მილიციის უფროს დაუგზავნა საყოველთაო ბრძანება შესახებ იმ ჩარჩ-ვაჭრებისა, დაწესებულებათა წარმომადგენლების და აგრეთვე კერძო მცხოვრებთა, რომელნიც ხელს უშლიან სასურსათო-სამინისტროს რწმუნებულებს სურსათ-სანოვაგის საკითხის მოწესრიგებაში.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულმა რაზმმა დაატუსაღა ივ. შლეიზინგერი კონტრევოლიუციონურ მოქმედებისათვის.

○ ფინანსთა მინისტრის მოხსენები
რობამ დაადგინა ადერბეიჯანის მთავრ
ბონების შესახებ ისეთივე ხელშეკრულ
სდოს, როგორიც საქართველოსა და ს
მთავრობის შორის არის.

○ შინაგან საქმეთა მინისტრის მოხ
მთავრობამ დაადგინა, პროტესტი გა
დოს ბაქოს მთავრობას ქართველების
გაწვევისათვის.

## რკინის გზ

○ 29 აგვისტოდან განახლდება №
24 მატარებლების მიმოსვლა, თანახმა
რებელთა მიმოსვლის წესისა 10—8. 
დამატებითი მატარებელთა მიმოსვლი
ხებ მოხდენილი იქნება განსაკუთრები
კარგულება.

## ნავ

○ ი. ფანცულაიას ინიციატივობით
ნების ახლო ოსმალთა საზღვართან 
ნეს 50 ათას ფუთამდე ნავთი.

## მკვლელ

○ 26 მარიამობისთვეს, ს. ხაშურში
ონო კომისარიატის ბინაზე მოჰკლეს
ლობრივი მემამულე გრ. ჯაფარიძე. ა
ლობით ადგილობრივი საზოგადოება
ვებულია. გამოძიება სწარმოებს.

## ერ

○ სიღნაღის მაზრის ერობის შე
კომიტეტის დადგენილებით მთელს 
საერობო არჩევნები მოხდება ენკ
15-ს. სულ ასარჩევია 43 ხმოსანი. მა
ყოფილია ხუთ საარჩევნო უბნად და
ველთა რაოდენობის მიხედვით ასარ
ქვემო მაჩხაანის რაიონში 17 ხმო
გურჯაანის მხარეს 10 ხმ., 3) ქოდალო
ში 6 ხმ., 4) ლაგოდეხის რაიონში 6
სიღნაღში 4 ხმ. სახმოსნო კანდიდატე
უნდა წარმოდგენილ იქმნას ქ. სიღნაღ
რის ერობის შემომღებ კომიტეტში, არ
ნეს ენკენისთვის 5-სა.

## სახალხო განათლ

○ სახალხო განათლების სამინისტრ
დართო მანგლისის საორგანიზაციო 
გახსნან კერძო უფლებიანი გიმნაზია 
განყოფილებით. აგრეთვე სახ. გან. მი
ცირკულიარი დაუგზავნა რესპუბლიკის
ლო სასწავლებლთა დირექტორებს, რო
ლი სამხედრო გიმნაზიის მოწაფენი გ
იაუბარებლად უნდა იქმნენ მიღებულ
სიკურ გიმნაზიის პირველ ოთხს კლასე
ლო რეალურ სასწავლებლებში კი
კლასებში.

## ხოლ

○ სახოლერო განყოფილებაში გად
ერთი. მორჩა და გამოეწერა ერთი.
ცვალა 8 ხოლერიანი. 28 აგვისტოს
ხოლერიანი და 13 საეჭვო ავადმყოფი

○ უკანასკნელ დღეებში ქალაქის
მყოფში მოიყვანეს სხვა და სხვა უბ
4 ხოლერიანი და 5 საეჭვო ავადმყოფ

## ლტოლვი

○ თანახმად შინაგან საქმეთა მინ
განკარგულებისა, ტფ. გუბერნიის კ
დაევალა გაყვანა დ. ალბულაღიდან 
ვილებისა, ვინაიდან საფრთხეს უქადი
რით და სხვა და სხვა სახადის გავ
ბით ადგილობრივ მცხოვრებთა და იქ
მარე პოლკს.

○ ქართველ საქველმოქმედო საზ
ბის თხოვნით შინაგან საქმეთა მი
განკარგულება მოახდინა, რომ ოლღას
მოთავსებული ვორონცოვის სახელობ
ლის ბინა 7 ოთახისაგან შემდგარი დ
იმ ლტოლვილთა დასაბინავებლად,
ნიც მოთავსებულ არიან ქართულ გ
შენობაში.

## სხვა და სხვა ა

○ მიხეილის საავადმყოფოს ფსი
განყოფილების ცნობით წინეთ გარდ
ბულ ავადმყოფთა რიცხვი 5 პროცენ
რიდა. ეხლა კი ცუდი ჭამა-სმის გამო
ხვი 10 პროცენტიდან 15 პროც. ავი

○ გუშინ გაემგზავრენ ერევანში გ
სამხედრო დელეგაციის უფროსი ფო
გენ. ფრანკელშტეინთან და სომეხ
რობის რწმუნებულ არშაკ ჯამალიან
თად. გუმბრში მათ შეუერთდება 
ფაშა.

○ სომეხთა ლაშქრის დემობილ
შემდეგ დარჩა მხოლოდ ერთი დივიზ
მელიც 6 პოლკისაგან შესდგება. დ
უფროსად ნაცვლად ნაზარბეგოვისა 
ლია გენ. სილიკოვი.

○ ულუხანლუდან მიღებულ ცნ
გადაჰყავთ ოსმალთა ჯარი ჯულფა
დროპოლიდან—თავრიზში.

სამი დღე-ღამე მოდიოდენ ასკერო
ლონები ტყვიის-მფრქვეველებით, სა
სამთო იარაღებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ თუ არა მათ უფლება, მიიღონ მონა-
ზილეობა რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრე-
აში, ქვეყნის მართვა გამგეობაში?

რაღა თქმა უნდა, აქვთ, დემოკრატიულ რეს-
უბლიკაში ასეთ უფლებას ვერავინ ვერ წა-
რთმევს ეროვნულ უმცირესობას, მაგრამ იმ
ფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ამ
მცირესობას, რომელიც შეადგენს ჩვენი რეს-
უბლიკის ქვეშევრდომს. ასეთი შეზღუდვა
ვისი უფლებისა აუცილებლად გამომდინარე-
ბს რესპუბლიკის ინტერესებიდან.

თუ ეროვნებათა უმცირესობათ ეკუთვნის
ა თუ ის უფლება, რესპუბლიკასაც აქვს თა-
სი უფლებანი და ერთი უდიდესი უფლება
სპუბლიკისა იმაში მდგომარეობს, რომ მას
უძლია როგორც კანონების საშუალებით,
შეიარაღებული ძალით საკუთარი არსებო-
დაიცვას.

კანონებს ის მიმართავს მშვიდობიანობის
ოს, შეიარაღებულ ძალას მტრის შემო-
ის დროს.

რესპუბლიკა ვერ მისცემს უფლებას იმის
მეებში ჩარევისას მათ, ვინც არ არის რეს-
ლიკის ქვეშევრდომი. ჩვენ გვინდა, რომ
ართველოს რესპუბლიკის საქმეებს და პო-
ტიკას თანასწორის უფლებით აწარმოებ-
ნ ყველანი—ამ რესპუბლიკის ქართველე-
, სომხებიც, თათრებიც, რუსებიც, ოსე-
და სხვ.

აგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ ყვე-
ესენი იყვენ ჩვენი საერთო რესპუბლიკის
ევრდომნი.

უძლებელია როგორც საერთაშორისო, ისე
ლმწიფოებრივის თვალსაზრისით ყოვლად
ებელი, რომ ერთი სახელმწიფოს ქვეშევ-
მი მეორე სახელმწიფოს პოლიტიკურ
ვრებაში მონაწილეობდეს.

ისინი არ მოისურვებენ ჩვენი რესპუბ-
ს ქვეშევრდომობას?

## ...რესის მიმოხილვა.

...რთობა" ეხება ადგილობრივ პრესის იმ
ას, რომელიც გვაუწყებდა, რომ
ოსმალეთის მთავრობას პრინციპიალუ-
დ გადაწყვეტილი აქვს სომხეთის რეს-
ბლიკას დროებით ოკუპაცია უყოს და ამ
ვალ-ტანჯულ ხალხს ის მცირე და უმნიშ-
ლო თვით გამორკვევის უფლებაც კი
რთვას, რომლითაც, მცირე ტერიტო-
აზე დარჩენილი, ის ამ ჟამათ სარგებ-
ბსო.

ეთი აღნიშნავს, რომ ამ ხმების გამარ-
ას მოჰყვება სომხების დემოკრატიულ
ბლიკის დამოუკიდებელ არსებობის მოს
გაზეთის აზრით მდგომარეობას ართუ-
ის გარემოებაც რომ სომხის ნაციო-
ტები მდგომარეობას ანგარიშს ვერ
და უტოპიურ ორიენტსციას თავს არ
ენ.

ატარა ერების ორიენტაცია დროს და
ემოების მიხედვით იცვლება. ის შესძ-
ს თავისი ფიზიკური არსებობის შენარ-
ბას, რომელიც არსებულ პირობებს
ორით გაითვალისწინებს და ხელსაყრელ
ენტაციას შეიმუშავებს.

ომხის ნაციონალისტური პარტიები
ასკნელ დრომდე რუსეთის ორიენტა-
ებლაუჭებოდენ და მის შეცვლას მო-
ჹინებელ ცოდვათ სთვლიდენ, მაგრამ
ა კი შეიცვალა მდგომარეობა და ინგ-
ს ჯარის მოახლოვება შესაძლებელი
,—მათ უმალვე ბალშევიკურ რუსეთს
ი აქციეს და ინგლისისაკენ დაიწყეს
.

ნ არ ვიცით რამდენათ საიმედოა ეს
ნტაცია, მხოლოდ იმას კი ვიტყვით,
სომხის ერმა და მისმა დემოკრატიამ
და გარემოებას ანგარიში უნდა გაუ-
, სომხის შოვ. ნაციონალისტების უტო-
ორიენტაციას მხარი აუქციონ და
ხარი შეხედულებით იხელმძღვანელონ.
ლმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან,
ეთის დაპყრობითი პოლიტიკა სომ-
დამოუკიდებლობას საბოლოოთ ბო-
მოუღებს და მით სომხის ერი დიდ
კდელში ჩავარდება.

ს ნაციონალისტების მავნე პოლიტიკა
არა ერთხელ აღგვინიშნავს. იმედია
ელმძღვანელნი მოსალოდნელ დიდ
ს მაინც გაუწევენ ანგარიშს და იმას
ეეცდებიან, რომ უტოპიურ ორიენტა-
ცვლით სომხის ერს ფიზიკურ არსე-
აინც შეუნარჩუნებს.

გაზეთის № 26-ის მეთაურში ვწერდით:
აგიერთა გზა-კვალ აბნეულნი კიდევ
ობენ საქართველოს დემოკრატიის
ღება რუსეთისკენ გაიტყუონ და რუ-
ორიენტაციის დაწყვეტილი სიმები
ალადგინონ ძველებურად".

უდოვოე ზნამია" თავის თავს იმ გზა-
ა რიგში სთვლის, რომელთა შესახებ
ჩვენ აქ გვაქვს ლაპარაკი (ქურდს ქუდი ეწ-
ვისო, ნათქვამია) და სცდილობს „ყოველ ამ-
ხანაგთა" ქართველ სოციალისტ რევოლიუ-
ციონერთა ორგანოს „შრომის" (№ 16) მეთა-
ურის მიშველებით თავი გაიმართლოს, ან
უკეთ რომ ვსთქვათ განაცხადოს, რომ ჩვენთან
ერთად არიან სხვებიც, რომლებიც ცდილო-
ბენ „საქართველოს დემოკრატიის ყურადღება
რუსეთისაკენ გაიტყუოს"-ო. რა თქმა უნდა
ვერაფერი გამართლებაა, რომ შემცდარი ნა-
ბიჯი სხვის შემცდარ ნაბიჯით გაამართლოთ,
მაგრამ ვნახოთ თუნდაც ის, თუ რამდენათ
მართალია თვით ეს დამოწმება „შრომიდან".
მართლა ცდილობენ „შრომელები", რომ „ჩვე-
ნი დემოკრატიის ყურადღება გაიტყუონ რუ-
სეთისაკენ?

„შრომის" მე-16-ე ნომერი ეხება ბაქოს
საკითხს და აღნიშნავს, რომ

„თუ ბაქოს თავდაცვას ინგლისელებმა
სათანადო ყურადღება მიაქციეს და საგრ-
ძნობი ძალებიც გადმოსხეს, მაშინ ცხადია,
ამიერ-კავკასია გადაიქცევა ორი კოალიციის
შორის ბრძოლის ასპარეზად.

ბაქოში ინგლისელების გაძლიერებას ვერ
შეურიგდება გერმანია. ის კიდეც ისარგებ-
ლებს ამით, ვინაიდან ინგლისელების მონა-
წილეობა ბაქოს თავდაცვაში გერმანიას
ანთავისუფლებს ფორმალურადაც ბრესტის
ხელშეკრულებისაგან.

აქედან გაზეთს დასკვნა გამოჰყავს,

მდგომარეობის გართულება უკარნახებს
გერმანია ოსმალეთს, მიიღონ მის წინაალ-
დეგ სასწრაფო ზომები. იმპერიალიზმი, ისა-
რგებლებს რა ბათუმში თავის გამარჯვე-
ბით, არ დააყოვნებს ჩვენს დემოკრატიას
მოახვიოს თავზე ისეთი რამ, რაც მის პო-
ლიტიკურ შეგნებას და სოციალისტურ სინი-
დისს ეწინააღმდეგება.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს აქ „შრო-
მელები" გულისხმობენ ჩვენს ომში ჩარევას,
ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლას. ამაზე
ჩვენ ვერაფერს ვიტყვით. შეიძლება განგებამ
მეტიც გვარგუნოს, მაგრამ ეს ხომ ჩვენ სა-
კითხს არ შეეხება. ჩვენ ვწერდით, რომ

„საქართველომ ათასჯერ გაზომა, სანამ
ერთხელ გადასჭრიდა თავის დამოუკიდებ-
ლობის გამოცხადებას და მას აზრადაც არ
მოუვა თავისი დიდი ისტორიული გადა-
წყვეტილება შესცვალოს და პირი ისევ
ჩრდილოეთისკენ იბრუნოს".

„ტრუდოვოე ზნამია" აბრუნებს საკითხს
და „შრომის" პირით გვეკითხება:

„თუ შეერთებული რუსეთი ომს გამოუცხა-
დებს გერმანიას,—აქვს თუ არა უფლება
ამ უკანასკნელს, რომ მან დახმარება მოგვ-
თხოვოსო."

ამაზე გაზეთი თვითვე უპასუხებს ისევე
„შრომის" ციტატით:

„თავისთავად ცხადია, რომ ქართველი
ხალხი არასოდეს არ იღებს იარაღს რუსის
მშრომელ ხალხის წინააღმდეგ, ვინაიდან
ეს იქნებოდა ღალატი რევოლუციისა".

არ ვიცით, რად დასჭირდა „ტრუდო-
ვოე ზნამია"-ს ასე კითხვის შებრუნება, მაგ-
რამ ჩვენ მაინც ვუპასუხებთ: ჩვენის აზრით,
რუსეთში დღეს მდგომარეობა იმდენად შეცვ-
ლილია, რომ ყოვლად შეუძლებელია თუნდაც
რომ მოხდეს ბაქოს საკითხის გამო ჩვენს
მახლობლად გერმანია-ინგლისის შეტაკება—
ამ დროს რუსეთი ინგლის-საფრანგეთთან ერ-
თად იბრძოდეს. დღეს ჩვენ ვიცით რომ ლე-
ნინის რუსეთი ებრძვის ინგლის-საფრანგეთს,
ხოლო ბურჟუაზიული პარტიის მეთაური პავ-
ლე მილიუკოვი გერმანეთის ორიენტსციას
იზიარებს. მაშასადამე ალბად არც მთლიანი
რუსეთი შეიძლება რომ მოჰყვეს ინგლის-საფ-
რანგეთის მხარეზე. ამიტომ ჩვენ ისე კითხვის
დასმა: შევებრძოლებით თუ არა რუსეთს, რომ
ეს თქვენგან მოითხოვონო—მიგვაჩნია მართ-
ლაც გზა-აბნეულ კაცის მიერ წამოყენებულ
კითხვად. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არავის-
თან არ ვფიქრობთ ბრძოლას და ვიცავთ მხო-
ლოდ ჩვენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას.
რუსეთს რატომ უნდა შევებრძოლოთ, თუ
თვითონ არ მოინდომა ჩვენთან შებრძოლება,
ჩვენი თავისუფლების მოსპობა, ძველი მტარ-
ვალების აღდგენა!

# ეროვნული საბჭო

### მარიამობისთვის 2-ს სხდომა მე-26-ე.

ა. ლომთათიძე. (სიტყვის გაგრძელება*)
აქ იყო დასახელებული ოსური ეროვნული სა-
ბჭო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ოსები იმდენად
არიან სიბნელით მოცულნი, რომ ყოველგვარ
ავანტიურას, ყოველგვარ სიბოროტეს გავლენა
აქვს. ეროვნული საბჭო, რომელზედაც აქ
ბრძანებდნენ, ძლიერ არა ნორმალურ პირობე-
ბში იქმნა შემდგარი. თუ ბატონ ვეშაპელს
ჰგონია, რომ ის ეროვნული საბჭო არის გამო-
მხატველი მთელ ოსთა სურვილებისა,—ძალიან
სცდება. იქ ამ ორი თვის წინად სულ სხვა
საბჭო იყო. ისიც ხომ წარმოუდგენელია, რომ
მთელი ოსობა ისე აღორძინდეს, რომ სოცია-
ლისტებს ჩამოშორდნენ და ნაციონალისტებს
მიჰკედლებოდნენ.

აქ ლაპარაკობდნენ ოსთა ყრილობაზე. ოს-
თა ყრილობის ამბები ჩვენ ვიცით. ოსების ბე-
დი ხელში ჩაიგდეს არა მკითხე მეამბოხეებმა.
ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ „სავზაო
მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღო ოსთა
ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელს.

თავისთავად ცხადია: ოსებში მოღვაწეობენ
ჯიოევი, თედეევი და სხვა და სხვა ჯურა ნა-
ციონალისტები. თქვენ ამას აღნიშნავთ, თქვენ
ამბობთ, რომ იქ მოქმედებენ ოსის ინტელი-
გენცია და სხვა და სხვა ნაციონალისტური
ჯგუფები. ამას ჩვენ არ უარვჰყოფთ. იქ არიან
ისეთი პირნი, როგორც გაბაშვილი და მისი
ამხანაგები. იქაც არის ისეთივე ნაციონალის-
ტურ-შოვინისტური ჯგუფი, რომელიც უხვად
ანთხევს შხამს.

რამდენადაც მახსოვს, ერთი თვის წინად აქ
მოვიდნენ ჯიოევი, ქიმელიძე და ერთიც ვი-
ღაც სხვა, რომლის გვარიც არ მახსოვს. მათ გა-
ნაცხადეს, რომ ჰსურთ მოლაპარაკება სოცი-
ალ-დემოკრატიულ პარტიის ბიუროსთან. მათ
ლაპარაკის დროს განაცხადეს, რომ ოსობაში
დიდი აღშფოთებაა. როდესაც ჩვენ ვკითხეთ,
თუ რამ გამოიწვია ასეთი აღშფოთება, მათ
გვითხრეს: მთავრობას გადაუწყვეტია, რომ
ოსებს იარაღი აჰყაროს და ყველა საჯარისკა-
ცო ასაკის კაცი ჯარში გაიწვიოსო. ჩვენ მო-
ვედით იმიტომ, რომ გაცნობოთ, თუ როგო-
რია მდგომარეობა. აი დაუფიქრდით ამ გარე-
მოებასო (ვეშაპელი ირლანდია!)

როდესაც შევეკითხე ჯიოევს: „თქვენ რა
ზომებს მიმართავთ მაშინ? მან მიპასუხა, რომ
მათ არავითარი ზომების მიღება არ შეუძლი-
ანთ. ამით მოლაპარაკება დასრულდა. რა თქმა
უნდა ბატონი ჯიოევები და თედეევები ოფი-
ციალურად არ განაცხედებენ თუ რა ზომებს
მიმართავენ, მაგრამ ყველასათვის ნათელი უნ-
და იყოს, რომ ისინი მხოლოდ შხამს თუ და-
ანთხევენ და ჩვენს წინააღმდეგ აამხედრებენ
ისედაც უკმაყოფილო ელემენტებს.

ეს რაც განაცხადა ჯიოევმა მეტად დამახა-
სიათებელია. იგია ნაყოფი იმ პოლიტიკისა,
რომელსაც აწარმოებენ დღეს ნაციონალისტე-
ბი ოსებში. ბატონ ჯიოევს ისევე ეჯავრება სო-
ციალისტები, როგორც ბატონ ვეშაპელს და რა
თქმა უნდა, მისი პოლიტიკა ჩვენ წინააღმდეგ
იქნება მომართული.

ასეთი პოლიტიკის ნაყოფი ჩვენ უკვე ვიგე-
მეთ. იქ ჯიოევი და მისი ამხანაგები ეუბნებიან
თავიანთ ხალხს: „საქართველო შეიარაღებული
მოვა და მიწას წაგართმევთო", აქ შეკითხვის
სახით ეროვნულ-დემოკრატები ამბობენ: „თუ
გსურთ საქართველოს გადარჩენა ჰკათ ოსებ-
საო".

ამაში თქვენ ერთად ხართ და შეიძლება
თქვენზე ითქვას „ორნი არიან ტოლნი არიან
ერთად მიდიან მიიმღერიანო" (ვეშაპელი.
თქვენს ფრაქციაში მოვიდნენ) დიახ ჩვენს
ფრაქციაში მოვიდნენ, რადგან მათ ასეთ პო-
ლიტიკის ნორმის გამო ჩვენგან ეშინიანთ და
არა თქვენგან. მაგრამ იქნებ ისეთი დრო და-
დგეს, რომ თქვენ მათ ხელი გაუწოდოთ და
ჩვენ ემაფოტისკენ გაგვგზავნოთ. როდესაც აქ
მთავრობის წარმომადგენელი ლაპარაკობდა
თქვენ ადგილიდან ასეთი შენიშვნა მიეცით:
თქვენ რომ ასე უყვავებთ ოსებს, რატომ მათ
ნდობა არ გამოგიცხადეს, რატომ არ იცნეს
დემოკრატიული რესპუბლიკაო.

მე მეგონა, რომ ყოველივე ობიექტიური
მოღვაწისათვის ეს გასაგები უნდა იყოს. ოსო-
ბას ჯერაც არ მისცემია შეძლება რომ თავის
სურვილები გარკვეულად გამოსთქვას. ჩვენ
ვიცით თუ ვინ ბატონობდა წუნარის ყრილო-
ბაზე, ასე რომ აქ არ გამოხატულა ოსების
ნამდვილი აზრი და სურვილი, მე პირადად
ერთი დოკუმენტი მაქვს ხელში, რომელიც გა-
მოხატავს შეგნებულ ოსობის აზრს. ერთი კვი-
რის წინად აქ, თბილისში კრება გამართეს აქ
მცხოვრებ ოსებმა და აი რა რეზოლუცია მი-
იღეს. (კითხულობს რეზოლუციას) მხოლოდ
ორმა კაცმა შეიკავა თავი. რეზოლუციის პირ-
ველი დებულება არის „ვცნობთ საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას". შემდეგ ვკით-
ხულობთ: ჩვენ მოველით, რომ „საქართველოს
დამფუძნებელი კრება დააკმაყოფილებს ჩვენს
კულტურულ მოთხოვნილებასაც".

აი მოისმინეთ გარდაწყვეტილება. აქ ჯიო-
ევების და მის სწორთა აზრები არ გამოიხა-
ტება. ამ კრებაზე თავმოყრილი იყვნენ ოს ხა-
ლხის სურვილების საუკეთესო გამომხატველნი.
და აი თქვენ დაინახეთ თუ რას ფიქრობენ
ისინი საქართველოზე. იქნებ ნაციონალ-დემო-
კრატებს ეწყინოთ, მაგრამ უნდა განვაცხადო:
ამ ყრილობაზე აირჩიეს დელეგაცია ოსთა
ეროვნულ საბჭოში გასაგზავნათ. დელეგაცია-
ში შედის 7 წარმომადგენელი. ამათში 6 სო-
ციალისტია და ერთიც მათი თანამგრძნობი.
(ვეშაპელი. გიხაროდეთ) დიახ გვიხარიან. იქ
ბნელეთის მოციქულები გამხდარან ხალხის
დამღუპველ გზის მაჩვენებლად, აქ კი თქვენ
ხედავთ იმავე ერის მწიფე დ სწორე გზას მდგარ
მომზადებულ ახალგაზდობას. -

როდესაც გვეუბნებით, მთელი ოსობა ასეთ
არისო—საიდან გამოიტანეს ეს დასკვნა. აქ
„ერთობიდან" მოიყვანეს წინადადება, მაგრამ
განა „ერთობა"-ში ის ეწერა, რომ მთელი
ოსობა არის დამნაშავეო?

„ერთობა"-ში ეწერა მხოლოდ, რომ „იქ
ბუდეა ძარცვა-გლეჯის სურვილით გატაცე-
ბულ ადამიანებისა, იქ თავი მოუყრიათ სა-
ხელმწიფოს წესიერების დამრღვეველთ". ჩვენი
დემოკრატიული მთავრობა მოვალეა ყურად-
ღება მიაპყროს ამ დამარღვეველ ელემენტებს
და „ერთობაც" სწორედ აქეთკენ მოუწოდებ-
და მთავრობას: „აქეთ მიაპყარით ყურადღე-
ბა"-ო. ამასთან გადაჭრით უნდა ითქვას ამ
ტრიბუნიდან, რომ ოსეთი, თუ შედის ჩვენს
რესპუბლიკაში, ოსები უნდა დაემორჩილნენ
ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს მთავრობას.

რაც შეეხება იმ ანტი-სოციალურ ავანტიუ-
რისტულ მოქმედებას, რომელიც ხდება ანარ-
ქიის და აჯანყების მიზეზად, მის წინააღმდეგ
გარკვეული პოლიტიკა უნდა სწარმოებდეს.
ასეთ ელემენტებს სახელმწიფოში არ უნდა
ჰქონდეს ადგილი.

დამეთანხმებით, რომ თუ საჭიროება მოით-
ხოვს ჩვენი მთავრობა მათ წინააღმდეგ არც
ასეთ ზომებს დაერიდება. მაგრამ ეს იქნება
არა იმ ოსების წინააღმდეგ მიღებული ზომე-
ბი, რომელთა დასჯა გაგახარებთ თქვენ და
თქვენს ამხანაგებს.

წარმოუდგენელია, რომ მთელი ერი იმაზე
ფიქრობდეს, რომ აი ხვალ თუ ზეგ მოგვეპ-
რება ვინმე და მიწას წაგვართმევსო. თუ ჩვენ
დავაკმაყოფილებთ ოსებს, ისევე, როგორც
ქართველ გლეხებს-შეიძლება, ჩვენ მათში უფ-
რომ გულმოდგინე მოქალაქენი შევიძინოთ.
(ხმები მარჯვნიდან: ბიჭოს! მაშინ ხომ ოსური
რესპუბლიკა იქნება). ჩვენი პოლიტიკა ოსე-
ბისადმი ისეთივე უნდა იყვეს, როგორც ქარ-
თველებისადმი. ამნაირი პოლიტიკით შეიძ-
ლება მხოლოდ ადგილობრივ წესიერების დამ-
ყარება. აი ასეთ გზას ვადგივართ ჩვენ, ვისაც
გვიკიჟინებენ, რომ სახელმწიფოებრივი პარ-
ტია არა ხართ და სახელმწიფოს აღმშენებ-
ლობას კი მოჰკიდეთ ხელიო. ამავე დროს ეს
პარტია, რომელიც თავის თავს სახელმწიფოე-
ბრივ პარტიად სთვლის დღეს, როდესაც
ასეთ გავარვარებულ ატმოსფერაში ვცხოვ-
რობთ, დღეს როდესაც საშინელი პროპაგანდა
სწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ, იგი რჩევას გვა-
ძლევს მივმართოთ გადამწყვეტ სასტიკ ზომებ
ოსების წინააღმდეგ. ჩვენ თუ ასეთ ზომებს
მივმართეთ შეიძლება ამგვარმა მოღვაწეობამ
უფრო შავი დღე დაგვაყენოს. არა, ჩვენ ამ-
გვარ გზას ვერ დავადგებით ჩვენ, სახელმწი-
ფოში ყველა მოქალაქე უნდა იყოს კანონიერი
შვილი და არა გერი.

ეს აზრი მით უმეტეს მისაღები უნდა იყვეს
იმათთვის, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა
მიაქციონ ამ გარემოებას იმათ, ვინც იცავს
და ვისაც უყვარს სამშობლო.

ამიტომ მიუღებელია ის რჩევა, რომელსაც
აქ გვაძლევენ სახელდობრ, რომ ჩვენ გამოვი-
ჩინოთ მეტი წინააღმდეგობა და მეტი სისას-
ტიკე. ეს სიბრძნე უკუგდებულ უნდა იქნეს.

*) იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკა" № 28.

## „ს.-დ- და სახელმწიფო ორგანიზაცია"

ნ. ნ. ჟორდანიას მოხსენება
(ცოტაოდენი შემოკლებით)

საქართველოს პოლიტიკურ საზოგადოებ-
რივი მდგომარეობა, კლასობრივ სტრუქტურის
გამო ძალიან განსხვავდება მეზობელ სახელ-
მწიფოებისაგან: თუმცა ეს განსხვავება რევო-
ლიუციამდიც იყო. სხვა ქვეყნებშიაც დემო-
კრატიული რესპუბლიკები აღმოცენდნენ სო-
ციალურ ნიადაგზე. შვეიცარიისა და ამერიკის
რესპუბლიკები აღმოცენდნენ მაშინ, როცა
ბურჟუაზიას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ძლიერ
სოციალურ ძალთა განვითარება და თავადაზ-
ნაურობა კი სრულიად არ იყო. საფრანგეთში
კონვენტს რომ შესძლებოდა რევოლიუციის
შემდეგ ცხოვრებაში გაეტარებინა თავისი დე-
მოკრატიული კონსტიტუცია და ხალხს შე-
თვისებინა იგი, მაშინ ბურჟუაზიული კლასები
იძულებული იქნებოდენ მიეღოთ იგი და გან-
ვითარებულიყვენ დემოკრატიულ ფარგალში,
როგორც ეს ამერიკისა და შვეიცარიის ბურ-
ჟუაზიამ ჰქნა. აღმოცენდება საქართველოშიაც
ძლიერი ბურჟუაზია, მაგრამ იგი ნახავს უკვე

○ 27 აგვისტოს ღამით პონდოევის ბინიდან (კრილოვის ქ. № 10) წაიღეს რამოდენიმე ათასი მანეთის ღირებული ნივთები. დააპატიმრეს ფონდოევის ნათესავი გაიბოვი და ბარონი, როიპი რომლებსაც აღმოაჩნდათ მოპარული ნივთები.

## ახალი სტილი

მიმდინერე წელს სეიმის მიერ შემოღებულ იქმნა ახალი სტილი. მაგრამ ამ კანონში განმარტებული არ არი, თუ როგორი წესით უნდა იქმნას შემოღებული უქმობა საეკლესიო დღესასწაულებისა ახალი სტილით.

ამ გამოურკვევლობის გამო საზოგადოებაში დღეს დიდი გაუგებრობაა: საეკლესიო დღესასწაულებს ზოგი ახალი სტილით უქმობს, ზოგი ძველით.

საქათალიკოსო საბჭომ ახალი სტილით უქმობა მომავალ წლის იანვრამდე არ მიიღო.

მრავალ უხერხულობის თავიდან ასაშორებლად საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიექცეს. ს.

## სწავლა-განათლების მოწყობის საქმე.

(მასალა საკითხისთვის).

II.

მეტად საჭირო საქმეს შეადგენს ფართო პროფესიონალური განათლება საზოგადოდ და მით უმეტესს ჩვენში, ვინაიდან აქ ჯერ-ჯერობით კიდევ გამეფებულია პირველ-ყოფილი წესი მეურნეობისა, გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები ჯერაც შემოუღებელია, ადგილობრივი ნაწარმოებნი განუვითარებელი და უცნობია მრავალი კარგი მხარეები თანამედროვე ტეხნიკისა.

სასოფლო-მეურნეობის, მრეწველობის, ალებმიცემობის, და სხვა საჭირო მხარეების განსავითარებლად აუცილებლად საჭიროა საკმაო კონტიგენტი მცოდნე ხელოსნებისა, ოსტატებისა, აგრონომებისა, ვაჭრობის მცოდნე აგენტებისა და სხვ.

და გინც საშუალო სასწავლებელში სწავლას ვერ განაგრძობს, მან საჭიროა მიიღოს პროფესიონალური ცოდნა და ამისთვის სწავლა განაგრძოს დასრულებული ტიპის სკოლებში დაახლოვებით ისე, როგორც ეს გერმანიაში ხდება. იქ დასაწყის სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლენი ვალდებული ხდებიან ისწავლონ პროფესიონალურ სკოლებში 2—4 წლის განმავლობაში. ასეთი სკოლები მრავალგვარი უნდა იყვნენ, მხოლოდ საჭიროა მათი შეფარდება ადგილობრივ პირობებთან და საჭიროებასთან. დასრულებულ ტიპის სკოლებს (პროფესიონალურს) აქვთ საზოგადო განათლების კურსები, სადაც მოწაფენი სახალხო სკოლაში მიღებულ ცოდნას ღრმავებენ. გერმანიის, ავსტრიის და ინგლისის დამატებითი სკოლებში ზოგადი განათლების საგნებს შეადგენენ: დედა-ენა, სტილი, მწერლების კითხვა, სამშობლო ისტორია, ცნობები სამრეწველო და კომერციული გეოგრაფიიდან, ბუნების მეტყველება, ფიზიკა, ქიმია, კომერციული არითმეტიკა, გეომეტრია და ხატვა.

ამნაირად, საჭიროა დასაწყის სკოლებში კურსის დასრულების შემდეგ მოწაფემ შეიძინოს ისეთი ცოდნა, რომელიც მას ცხოვრებაში გამოადგება და საზოგადოებასაც დახმარებას გაუწევს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით.

ზევით აღვნიშნეთ სკოლის რეორგანიზაციის საქმე, დაბოლოს ყურადღება მივაქციე ჩვენში ფართო პროფესიონალურ ცოდნის გავრცელების საჭიროებაზე.

მაგრამ პროფესიონალირი ცოდნით არ განისაზღვრება ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილება.

დღევანდელი ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ერს თავის წარმატებისათვის და კეთილდღეობისათვის ესაჭიროება საკმაო რიცხვი სპეციალისტებისა ყოველივე დარგში. ჩვენ გვესაჭიროება მომზადებული აგრონომები, რომელნიც ჩვენ ჩამოქვეითებულ სასოფლო-მეურნეობის საქმეს სასურველ სიმაღლემდე აიყვანენ, ჩვენ გვესაჭიროება მცოდნე ქიმიკოსები და მექანიკოსები, რომ გაუძღვენ და და განავითარონ ჩვენში განუვითარებელი ქიმიური და მექანიური მრეწველობა; ჩვენ გვესაჭიროება სამთა-მადნის საქმის მცოდნენი და გეოლოგები, რომ გამოიკვლიონ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი და მათ დამუშავების საქმე მოაწესრიგონ; ჩვენ გვესაჭიროება ჰიდროტეხნიკოსები, რომ საჭირო არხების გაყვანას და ბუნების მიერ დაგროვილ ენერგიის პრაქტიკულად გამოყენებას შეუდგნენ; ჩვენ გვესაჭიროება კარგი პედაგოგები, რომ თანამედროვე უკულმართ სკოლის განახლების საქმეს შეუდგნენ და პირნათლად ემსახურონ თავის წმინდა დანიშნულებას; ჩვენ გვესაჭიროება დახელოვანებული კომერსანტები, რომ ვაჭრობა-მრეწველობა განავითარონ და ალებმიცემობის საქმე სასურველ ნიადაგზე დააყენონ; ჩვენ გვესაჭიროება ლინგვისტები, ისტორიკოსები და არქეოლოგები, რომ ჩვენი ქვეყნის სიძველენი და ქართველი ერის წარსული შეისწავლონ, ენის კანონები და თვისებები გამოიკვლიონ და მის გაწმენდაზე, გამშვენიერებაზე იზრუნონ; ჩვენ გვესაჭიროება ექიმები, რომ ხალხის ჯანმრთელობაზე, ჰიგიენურ პირობების შექმნაზე იფიქრონ; ჩვენ გვესაჭიროება კომპოზიტორები და მხატვრები, რომ ხალხს სულიერი საზრდო მიაწოდონ, მისი გრძნობების სიწმინდეზე და გაფაქიზებაზე იზრუნონ და სხვა და სხვა.

რასაკვირველია, საჭირო არ არის, რათა საზოგადოებაში ყველა ზემოდასახელებულთა თანასწორი რიცხვი მოიპოვებოდეს, მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ ყველანი საზოგადოების წარმატებისათვის საჭირო ელემენტებს შეადგენენ.

ამ ნაირად დაგვჭირდება ბევრი სხვა-დასხვა დარგის სასწავლებელთა-საშუალოთა და უმაღლესთა-დაარსება, მხოლოდ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ სამთა-მადნო და ქიმური ცოდნის გავრცელებას, ვინაიდგან ჩვენი ქვეყანა თითქმის სრულიად შეუსწავლელი და გამოუკვლეველია,—იძლევა კი ფართო ასპარეზს ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავების და მრეწველობის ბევრნაირი დარგის განვითარების საქმეში. უნდა მივაქციოთ აგრეთვე დიდი ყურადღება აგრონომიულ ცოდნას, რადგან ჩვენი სამშობლო მეურნეობის ქვეყანაა და რაციონალურად საქმის დაყენებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ჰიდროტეხნიკურ ცოდნის გავრცელებას, რადგან ჩვენი ქვეყანა ერთობ მდიდარია მდინარეთა და ჩანჩქერთა უზომო ენერგიით, რომლის გამოყენება და იაფი ენერგიის მიღება მრეწველობის საქმეს ძალიან წინ წასწევს... ამით მინდა ვსთქვა, რომ ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება ისეთი ცოდნის გავრცელებას უნდა მივაქციოთ, რომელიც ეკონომიურის განმტკიცებას და, მაშასადამე, ხალხის მატერიალურ წარმატებას და კეთილდღეობას გამოიწვევს. მრეწველობის სუსტი განვითარება, ეკონომიური მხარის ჩამოქვეითება საზოგადო ცხოვრებას სამარეს უთხრის. ჩვენში თითქმის არც ერთი მრეწველობის დარგი არ არის განვითარებული და, თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, მუდამ დამოკიდებული ვიქმნებით უცხო ქვეყნის მრეწველობაზე, ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ მრეწველობის და მეურნეობის რიგიინ პირობების შესაქმნელად საჭიროა ენერგიას, ინიციატივის და კაპიტალის გარდა მცოდნე პირნი, და უმთავრესს მიზნად ამათი მომზადება უნდა დავისახოთ.

სრულიად უყურადღებოდ, რასაკვირველია, ვერც სხვა დარგების ცოდნას დავტოვებთ, და ასეა თუ ისე უნდა შევქმნათ საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები — ზოგადი და სპეციალური განათლებისა.

ზოგად თუ სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში დაბალ სკოლებიდან შევლენ ბუნებრივი მიდრეკილების და ნიჭის მიხედვით. სწავლება პირველში ოთხ წელს გაგრძელდება, მეორეში—4-5 წელს.

სპეციალურ სასწავლებლებში მუშაობა თავისთავად იგულისხმება, მხოლოდ ზოგადი განათლების საშუალო სკოლაც შრომის პრინციპზე უნდა იყოს აგებული. გარდა ამისა, სპეციალურ სასწავლებლებში ზოგად განათლებას უნდა მიექცეს საკმაო ყურადღება.

საშუალო სასწავლებელი ეს ეტაპია უმაღლესში გადასასვლელად, მხოლოდ თავისთავად ის იმდენ მომზადებას უნდა იძლეოდეს, რომ სწავლის გაუგრძელებლივადაც უმაღლეს სწავლით აღჭურვილ პირთა თანაშემწეობა, თანამშრომლობა შესძლონ. ე. ი. საშუალო სასწავლებლიდან უნდა გამოდიოდნენ იმდენად დასრულებული სწავლით და იმდენად მომზადებულნი პირნი, რომ მათ ცხოვრებაში თავისი ცოდნის გამოყენება და ხალხისთვის საჭირო შრომის და მოღვაწეობის გაწევა შესძლონ.

საშუალო სასწავლებელს ცხოვრებასთან, მრეწველობასთან და საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს,მაგრამ ამ კავშირზე და სხვა საჭირო მხარეებზე ლაპარაკი ცოტა ქვემოდ გვექნება, უმაღლეს სასწავლებლის გარჩევის დროს.

ზოგადი განათლების საშულო სასწავლებლიდან მსურველს შეეძლება უნივერსიტეტში შესვლა ამა თუ იმ ფაკულტეტზე,—კურსი 4 წლიანი იქმნება. მხოლოდ საშუალო სპეციალურ სკოლიდან შესაძლებელი იქმნება უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში შესვლა,— კურსი 4—5 წლიანი იქმნება.

## როგორ უნდა იყოს მოწყობილი მკურნალობა და სანიტარული საქმე მომავალ ერობაში.

IV.

სამაზრო სანიტარულ და საექიმო საქმეთა მაწარმოებელი ორგანოები.

ყოველი პრინციპიალურად დიდ-მნიშვნელოვანი საექიმო და სანიტარული საკითხი უნდა იხილებოდეს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ექიმთა სამაზრო საზოგადო ყრილობაზე. ყრილობის მიერ გამოტანილ დადგენილებათ ექნებათ სათათბირო ანუ სარჩევი ხასიათი. პრაქტიკული განხორციელება სამაზრო ექიმთა ყრილობის დადგენილებისა შეადგენს ერობის სამაზრო საბჭოს და გამგეობის საქმეს.

სამაზრო ექიმთა საზოგადო ყრილობის გარდა, სამაზრო ერობის გამგეობასთან უნდა არსებობდეს მუდმივი კოლექტიური ორგანო „სამაზრო სანიტარულ-სამკურნალო საბჭო“.

სამაზრო სანიტარულ - სამკურნალო საბჭო არჩევს ყველა მიმდინარე სანიტარულ-სამკურნალო საქმეებს, თუ ვინიცობაა სამაზრო გამგეობამ უარჰყო სამაზრო საბჭოს დადგენილება, მაშინ გამგეობამ საბჭოს წერილობით დასაბუთებული ახსნა უნდა გაუგზავნოს.

სამკურნალო უბნების ექიმებს და სამაზრო სანიტარულ ექიმებს უნდა ირჩევდეს სამაზრო სანიტარულ-სამკურნალო საბჭო და ამტკიცებდეს სამაზრო ერობის გამგეობა. სამაზრო ექიმთა ყრილობასაც შეუძლიან თვისი კანდიდატი წამოაყენოს.

V

ცენტრალური მთლად სანიტარულ-სამკურნალო დაწესებულებანი და მათი ფუნქციები.

ცენტრალურ სანიტარულ-სამკურნალო დაწესებულების მოვალეობაა იქონიოს დიდი 200—300 მუდმივ საწოლიანი საავადმყოფო, სადაც უნდა იყოს ყველა განყოფილებანი, მოწყობილი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვისამებრ.

საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის.

დღეს მაინც მიმდინარე ომის დროს, ხალხი განიცდის დიდ უბედურობას. მის თვალწინ იხოცებიან ათობით და ასობით. სიცოცხლის მომსპობი იარაღები მოქმედობენ დღე დ ღამ. გარეშე მტერს და ნაძირალებს მშვიდობიან მოქალაქეთა სიცოცხლეზე იერიში-იერიშზე მოაქვთ. არ ინდობენ მოხუცს, დედაკაცს და ბავშვს. ასეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში, როგორც გვასწავლის პსიქიატრია, რიცხვი სულით ავადმყოფთაბ უმაღლეს მწვერვალამდის ადის. საქართველოს მომავალმა ერობამ ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს და ამის მიხედვით უნდა გახსნას ან გააფართოვოს სულით ავადმყოფთა სამკურნალოები.

ერობის ცენტრალურ სანიტარულ-სამკურნალო ორგანოს საქმეა იქონიოს ცენტრალური საწყობი წამლებისა და ყველა იმ ნივთებისა, რომელნიც იხმარებიან სანიტარულ-სამკურნალო საქმეში. ამავე საწყობს უნდა ჰქონდეს მინდობილი სხვა და სხვა წამლობაში სახმარი ბალახების შეკრება.

ცენტრალურ ორგანოს მოვალეობა უნდა იყოს სხვა და სხვა სამკურნალო შრატის დამზადება და ყველა სამკურნალო უბნის დაკმაყოფილება ამ მხრივ.

შედგენა სნეულებათა ნომიკლატურისა, სტატისტიკური ბარათებისა და საბოლოო დამუშავება ყველა ამგვარ მასალებისა, რომლებიც შეიკრიბებიან მაზრების საექიმო-სანიტარულ ბიუროებიდან.

უძლურთა და მოხუცთა თავშესაფარის შენახვა უნდა შეადგენდეს აგრეთვე ცენტრალურ ორგანოს საქმეს.

მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარის შენახვა უნდა იყოს მოვალეობა აგრეთვე ამ ორგანოსი.

ყველა ამ საქმეების მართვა უნდა ევალებოდეს ცენტრალურ საერობო საექიმო-სანიტარულ დაწესებულებებს.

ექ. ალ. მაღალაშვილი.

## სომხური პრესა

„მშაკი“ სწერს:

„ინგლისელების ბაქოში შემოსვლა უკვე სინამდვილეა, ცხადია, რომ მათი ლაშქრის ამიერ-კავკასიის ბრძოლის ველზე გამოსვლის მიზანია ბაქოდან უკან დაახევინოს ოსმალეთის ჯარებს, და იმავე დროს მონაწილეობა მიიღოს ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ საკითხებში.

ეხლა ამიერ კავკასია იმყოფება მარტოთ მარტო გერმანიის და ოსმალეთის გავლენის ქვეშ. ეჭვი არ არის, რასაც ოსმალეთი სჩადის, გერმანიის აშკარა, ან ჩუმი თანხმობით არის.

ინგლისის ლაშქრის შემოსვლა ჩვენ ქვეყანაში ძალიან შეაფერხებს გერმანიისა და ოსმალეთის პოლიტიკურ პროექტების განხორციელებას. იგი დიდ ძალას წარმოადგენს პოლიტიკურ-ეკონომიურ ინტერესების კონკურენციისათვის. ამრიგად ჩვენი ქვეყანა იმყოფება ახალ საშინელების წინ. ხიფათი მოდის არა თუ მარტო აღმოსავლეთიდან, ბაქოს მხრიდან, იგი გვემუქრება აგრეთვე კავკავიდან.

თუ მართლია რომ კავკავი ბოლშევიკებიდან ყაზახების ხელში გადადის, მაშინ გამოურკვევლად რჩება ის საკითხი, რომ ყაზახები იკმარებენ თავიანთ ფარგალს, თუ დაემუქრებიან საქართველოს დედა-ქალაქს თბილისს.

როცა სამხრეთ-კავკავის ბოლშევიკურ მთავრობამ თანხმობის ხელშეკრულობა დასდო საქართველოს რესპუბლიკასთან, მაშინ ამ მხრივ, ჩვენ მშვიდათ ვიყავით, ეხლა კი გაზეთების და მომსვლელების გადმოცემით, ბოლშევიკების ძალა გამგეობა დასცეს ყაზახებმა და კავკავი ხელიდან ხელში გადადის.

ამნაირად ამიერ-კავკასია დიდი ერების შუა საბრძოლო ვაშლათ გადაიქცა. რუსებმა, ინგლისელებმა და გერმანელებმა იარაღის ძალით უნდა გადასჭრან ის საკითხი, თუ ვინ უნდა ისარგებლოს ჩვენი ქვეყნით, ან რომლის პოლიტიკის გავლენის ქვეშ უნდა დარჩეს ჩვენი ქვეყანა, ნაკლებ როლს არ თამაშობენ აგრეთვე ოსმალებიც.

ამიერ-კავკასიის სამი ნორჩი რესპუბლიკებიდან საქართველომ იცნო გერმანიის გეგემონია და მის შეიარაღებულ ძალას ამოეფარა. ადერბეიჯანი არა თუ დამოუკიდებელი გახდა, არამედ ოსმალეთის ერთ ახალ გუბერნიათ გადაიქცა და, თუმცა სახელათ დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაირქვა, ფაქტიურათ აკეთებს იმას, რასაც უკარნახებს ოსმალეთი. ჰაიასტანის მთავრობას ჯერ ნათლად და გამორკვეულათ არ გამოუთქვამს თუ პოლიტიკურათ რომელ უდიდეს სახელმწიფოს მფარველობას იღებს. ჰაიასტანის მთავრობა თუ თანასწორ მეგობრულ კავშირების შექმნას ცდილობს მეზობელ ერებთან, მის მთავრობებთან, და ადგილობრივ გავლენიან დიდ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ეს დიდათ მოსალოცავია. ჩვენ იმდენი სატკივარი გვაქვს, იმდენი სიმწარე გვინახავს და ვხედავთ, რომ ჩვენი ერთად-ერთი თხოვნაა თავი დაგვანებონ, რომ წყნარად და დინჯად შეუდგეთ აშენებელ შრომას, ახლათ ავაგოთ ჩვენი დანგრეული ქვეყანა და ცოტაოდნათ მაინც შევამსუბუქოთ მრავალი ლტოლვილების მწუხარება.

შეიძლება ვნახოთ, რომ ამიერ-კავკასია თავის გეოგრაფიული მდგომარეობით ხელ-ახლათ გახდეს დიდ სახელმწიფოების ბრძოლის ველათ, რომლისაგანაც დაზარალდებიან ამიერ-კავკასიის ერები. ჩვენი აზრით ამიერ-კავკასიის სამი სახელმწიფო მთავრობების დიპლომატიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ბრძოლის საგნათ გადაქცეული ბაქოს საკითხი მშვიდობიანათ დაბოლოვდეს, გადაიჭრას სამართლიანათ და თანასწორათ ყველა დაინტერესებულ მხარეებისთვის.

## წერილი რედაქციის მიმართ.

(მცირე განმარტება).

გაზეთ „ერთობის“ № 182 მოთავსებულია წერილი „ჩინ-ორდენები“.

წერილის ავტორი ბრალსა სდებს სამხედრო სამინისტროს დაჯილდოების წესში.

როგორც სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის უფროსი ვალდებულათ ვრაცხ თავის თავს განვმარტო შემდეგი:

1) თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა, სამხედრო სამინისტრო დაჯილდოების საკითხში ხელმძღვანელობს რუსეთის სახელმწიფო კანონებით (სამხედრო დადგენილებათა კრებული 1869 წ. რედაქ.).

როდესაც ამ საკითხის შესახებ საგანგებოდ არჩეული კომისია გენერალ ოდიშელიძის ხელმძღვანელობით ახლო მომავალში შეიმუშავებს დებულებებს და მას ეროვნული საბჭო მიიღებს, პიროვნული შემადგენლობის განყოფილება იმით იხელმძღვანელებს.

2) რაც შეეხება დაჯილდოვების გახშირებას, ამის შესახებ უნდა განვმარტო, რომ სამხედრო მინისტრის განკარგულებით ჯილდოს იღებენ ის ოფიცრები და ჯარის კაცები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საქართველოს რესპუბლიკის სამსახურში.

ყველა უკანასკნელი დაჯილდოვება დამყარებულია გენ. მაზნიაშვილის და გენ. კონიაშვილის წარმოდგენებზე, სადაც ისინი სთხოვენ სამხედრო მინისტრს, რომ მან დააჯილდოვოს ესა და ეს მეომარი, რომელთაც თავი გამოიჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამხედრო მინისტრის მიერ დაჯილდოვებულნი მსახურებდნენ სახალხო გვარდიაში და არა რეგულიარულ ჯარში.

ყველა წარმოდგენები ინახება სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილებაში და ვიდრე პატივცემული რედაქცია მოათავსებდა სასაყვედურო წერილს სამხედრო უწყების წინააღმდეგ, რომელიც დღეს აღმაშენებლობის პროცესში იმყოფება, უფრო კარგი იქნებოდა საქმის ნამდვილი მდგომარეობა გაეგო.

გენერალ-მაიორი წულუკიძე.

## ნამეფარის დღიურიდან.

ც. ა. კ. „უწყებას“ მოჰყავს ნიკოლოზ II-ის დღიურიდან საინტერესო ისტორიული დოკუმენტები.

ეს დღიური დაწერილია თვით რომანოვის ხელით, იმ დღეებში, როდესაც აბობოქრებუ-

ლი ხალხი რუსეთის მონარქიის ბედსა სწყვეტდა—თებერვალი, მარტი და მისი მიმყოლი თვეები დიდი რევოლიუციისა.

ვიწყებთ 1917 წ. 26 თებერვლიდან.

დ ღ ი უ რ ი.

„26 თებერვალი. კვირა. 10 საათზე წაველი წირვაზე.

მოხსენებები დროით დამთავრდა. საუზმეზე ბევრი ხალხი იყო, უმრავლესობა უცხოელები. მივწერე ალისას (ალექსანდრა თეოდორეს ასულს) და გავისეირნე ბობრუისკის გზატკეცილზე სამლოცველოსკენ.

კარგი ამინდი იდგა. ჩაის შემდეგ სადილის წინ მივიღე სენატორი ტრეგუბოვი. საღამოთი ვითამაშე დომინო.

27 თებერვალი. ორშაბათი. რამდენიმე დღის წინად პეტროგრადში არეულობა დაიწყო. საუბედუროთ არეულობაში ჯარიც ღებულობს მონაწილეობას. საძაგლობაა ასე შორს იყო და ცუდ ამბებს ნაწყვეტობით ღებულობდე. ცოტა ხნით მოვისმინე მოხსენებები.

დღისით ორშას გზატკეცილზე გავისეირნე. მზიანი დღე იდგა. ნასადილევს გადავსწყვიტე „ცარსკოე სელოში" წასვლა. შუაღამის პირველ საათზე მატარებელში გადავედი.

28 თებერვალი. სამშაბათი. დილის ოთხის ნახევარზე დავწექი, რადგან დიდხანს ვებაასე ნ. ივანოვს, რომელსაც პეტროგრადში ვგზავნი ჯარებით წესიერების აღსადგენად. მეძინა 10 საათამდის. მოგილიოვიდან დილის ხუთ საათზე გავედით. ყინავდა, თუმცა მზიანი დღე იყო. ვიაზმა, რჟევი, ლიხოსლავი გავიარეთ 9 საათ.

1 მარტი. ოთხშაბათი. ღამით დაბა ვიშერიდან მოვბრუნდი, რადგან ლიუბანი და ტოსნო აჯანყებულებით იყო დაკავებული. გავიარეთ ვალდაიზე, დნოზე და პსკოვში გავჩერდით, სადაც გავათიეთ. ვინახულე რუზსკი. ისა, დანილოვი და სავიჩი სადილობდენ. გატჩინა და ლუგაც მეამბოხეებით დაკავებული გამოდგა. რა სირცხვილია და სახელის გატეხა?! „ცარსკოე სელომდი" მისვლა ვეღარ მოხერხდა: გრძნობა და გონება კი იქ არის. როგორი ძნელი უნდა იყოს საწყალ ალისასათვის ყოველივე ამის გადატანა. ღმერთო გვიშველე.

2 მარტი. ხუთშაბათი. დილით მოვიდა რუზსკი და წამიკითხა როდზიანკოსთან პირდაპირი მავთულით თავისი გრძელი ლაპარაკი. მისი სიტყვებით პეტროგრადში მდგომარეობა ისეთია, რომ სამინისტრო უძლურია სათათბიროს რაიმე მოუხერხოს, რადგან სოციალ-დემოკრატიული პარტია იბრძვის მუშათა კომიტეტის სახელით. საჭიროა ჩემი ტახტიდან გადადგომა. რუზსკიმ ეს ამბავი ჩემს ბანაკს გადასცა და ალექსეევმა კი—ყველა მთავარ-სარდლებს. პირველის ნახევარზე ყველასგან პასუხი მივიღეთ. ყველას აზრი ერთნაირია, რუსეთის გადარჩენისთვის და ფრონტებზე ჯარების მშვიდათ ყოფნისთვის საჭიროა გადავსწყვიტო ეს ნაბიჯი. დავთანხმდი. ბანაკიდან გამოგზავნეს მანიფესტის პროექტი. საღამოს პეტროგრადიდან მოვიდნენ გუჩკოვი და შულგინი, რომელთაც მოველაპარაკე და გადავეცი შესწორებული და ხელმოწერილი მანიფესტი. ღამის პირველ საათზე პსკოვიდან წამოვედი შემძიმებულ გრძნობით შეპყრობილი. მიდამო გარშემო ღალატია, სილაჩრე და მოტყუება".

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

მოსკოვის დაცლა.

„ვეჩერნია იზვესტიაში" დაბეჭდილია დეკრეტი: „სახალხო საბჭოთა კომისარების დადგენილებით ბინათა ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ მოსკოვში მცხოვრებ ყოველი მოქალაქე, ვინც რაიმე საქმეში არ მსახურობს, ვალდებულია სულ მოკლე ხანში დასტოვოს ქალაქი.

სიმშილი.

ტულიდან იუწყებიან, რომ იქ საშინლად გავრცელდა სიმშილით სიკვდილი, განსაკუთრებით ბავშვებისა.

ებრაელთა დარბევა.

კონოტოპიდან ბრიანსკისკენ წასულმა რუმენევის განსაკუთრებულმა წითელმა არმიამ, რომელიც სადგურ ზერნოვოზე დაბანაკდა, ებრაელები სასტიკად დაარბია. მხეცურად მოჰკლეს 30 კაცი და დასჭრეს 18. რომ დარბევა არ განმეორებულიყო, 1000 მეტი დარბეული ებრაელთა ოჯახი, აიყარადა კონოტოპისკენ წავიდა. ბოგანოთ ქცეული აქა იქ დარწიან. ებრაელთა წარმომადგენლებმა მიმართეს უკრაინისა და ბოლშევიკურ მთავრობებს. უკრაინის მთავრობა დაჰპირდა, რომ როგორც კი უკრაინურ-გერმანული ჯარები ზერნოვოს დაიკავებს ყოველივე საჭირო ზომებს მივიღებთო.

მილიუკოვი.

„ბერლ. ტაგ" ცნობით მილუკოვი, რომელმაც კადეტთა პარტიის ლიდერობაზე უარი განაცხადა, აარსებს ახალ პარტიას ნათლად გამორკვეულ პროგრამით რომლითაც პარტიათა შორის კომპრომისების იმედი აქვს.

## გამოსადეგი ცნობები


### სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თელავიდან | დილის | 8 | ს. | 28 წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | 14 „ |
| თბილისში | „ საღამოს | 5 | „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 | „ | 58 „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 | „ | 24 „ |
| თელავში | „ საღამოს | 5 | „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 | „ | 42 „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუადღ. | 4 | „ | 15 „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 | „ | 20 „ |

## განცხადებები

ექიმი დოქტორი მედიცინისა

### ვ. ნ. აქსელოს

ღებულობს ვენერიული სენით შეპყრობილ ავათმყოფებს. უკეთებს სისხლს ანალიზს პროფ. კლაუზნერის მეთოდით. ავათმყოფები მიიღება დილის 9—12 ს-დე, საღამოს 6—8 ს-დე. პუშკინის ქ. „დვორცოვის ნომრები" № 3. 6—4

იყიდება **პიანინო** იყიდება

საუკეთესო ფირმისა ბეკერისა

აქვს საუკეთესო ხმა. მისამართი ადრესი: მოსკოვის ქ., № 20, სახ. გაჲონიას.

პეტრე ივანეს ძე კალშევი აცხადებს, რომ დაჰკარგა თბილისის სახელმწიფო ბანკის ხელწერილი ფულის შენახვისა № 3934. 3-3

საქართველოს რკინის გზის კონტროლის კონტროლიორის თანაშემწე გაბრიელ ფილბრანტი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პიროვნების მოწმობა 176 და 514 ნომრებით.

პარასკევა ტიხონის ასული პუმინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კვიტანცია № 222, ახალციხის ხაზინიდან მოცემული 4% რენტა 1000 მანეთისა. კვიტანცია გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 3—1

იასე აბრამის ძე მირაქოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიგელი მამულის კუთვნილებაზე 28 ნოემბ. 1906 წ. № 1502 და ორი ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული: პირველი 10 იანვარს 1894 წ. № 63 და მეორე 21 სექტემბერს 1888 წ. № 947. 3—1

ხარაგოულის მომრიგებელ უბნის გამგე იწვევს პართენ ამბაკოს ძე მაღრაძის და გლახუა ამბაკოს ძე მაღრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მაღრაძეების ქონებაზე დადგენილ ვადაში.


## წესდება

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა.

დედანზე წარწერილია: ვამტკიცებ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებას თანახმად 6 ოქტომბრის 1917 წლის კანონისა (1917 წლის კანონთა კრებული, განყოფილება 1, მუხლი 2048) 30 ივნისს 1918 წელს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟ უ რ უ ლ ი.

სწორია: საქმის მწარმოებელი მ ი ხ ა ბ ე ლ ი.

### I. მიზანი საქარ. სავაჭრო-სამრეწველო პალატისა.

§ 1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა არსდება საქართველოს დედა-ქალაქს თბილისში. მას მიზნად აქვს: ა) შეკავშირება თვითმართველობის ნიადაგზე ვაჭარ-მრეწველთა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა იმ აზრით, რომ დაცულ იქმნეს წარმომადგენლობა და საზოგადო ინტერესები ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობისა, და აგრეთვე შექმნილ და დამკვიდრებულ იქმნეს სახელმწიფო ინტერესების მიხედვით ვაჭრობა და მრეწველობა. ბ) დაარსება და შენახვა ვაჭრობა-მრეწველობისათვის სასარგებლო დაწესებულებათა. გ) დახმარება მთავრობას და საზოგადო დაწესებულებათ იმ ზომების აღმოჩენითა და განხორციელებით, რომელნიც განავითარებენ და დაამკვიდრებენ ვაჭრობასა და მრეწველობას, მაგალითად: შეგროვება და გამოქვეყნება ფაქტიურ მასალისა შესახებ ამა თუ იმ რაიონის ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობისა, აღძვრა შუამდგომლობისა ტ დასკვნის მიცემ-გამოტანა.

§ 2. 1 §-ში აღნიშნულ მიზნების განსახორციელებლად სავაჭრო-სამრეწველო პალატას უფლება აქვს: ა) წარუდგინოს მთავრობას და საზოგადოებრივ მმართველობას თვისი მოსაზრებანი შესახებ ვაჭრობა-მრეწველობის სიჭიროებისა. ბ) წარუდგინოს მთავრობას და საზოგადოებრივ მმართველობას თვისი დასკვნანი შესახებ ვაჭრობისა და მრეწველობისა. გ) მიიღოს მონაწილეობა თვისი წარმომადგენელთა გაგზავნით ადგილობრივ მმართველობასთან სავალდებულო დადგენილებათა განხილვაში შესახებ ვაჭრობისა და მრეწველობისა. დ) აირჩიოს, ხოლო შესაფერ შემთხვევაში დააწესოს საარჩევნო წესი, წარმომადგენელნი ვაჭრობა-მრეწველობისა საზოგადოებრივ და მმართველობის დაწესებულებათა და საბჭოებში, სადაც ასეთი წარმომადგენლობა ნებადართულია კანონით ანუ საჭიროა საქმის მდგომარეობის გამო. ე) აირჩიოს კომერციულ სასამართლოებში თავმჯდომარეთა კანდიდატები, მათი ამხანაგები და წევრები სასამართლოსი. ვ) გადასწყვიტოს თხოვნები შესახებ ადმინისტრაციის დანიშვნისა თანახმად არსებულ წესებისა; ზ) მიიღოს მონაწილეობა თავის წარმომადგენელთა შემწეობით თათბირებში შესახებ რკინის გზების ტარიფების გადასინჯვასა და შედგენაში, სავაჭრო საზღვაო მიმოსვლისა, სადამოენო გადასახადისა და სხ. თ) აწარმოოს სიები საქართველოში არსებული სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა, მათ შორის იმ დაწესებულებათა, რომელზედაც დაწესებულია ადმინისტრაცია ანუ საკონკურსო მმართველობა. ი) დააწესოს საარბიტრო კომისიები სავაჭრო და სამრეწველო სადავო საქმეების გასარჩევად. კ) დააწესოს და შეინახოს საქველმოქმედო, საგანმანათლებლო და ყოველგვარი სასარგებლო ვაჭრობა-მრეწველობისათვის დაწესებულება. ლ) გასცეს ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ მოწმობა და ცნობანი. მ) შეაგროვოს და შეიმუშაოს სტატისტიკური ცნობანი ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ, და შეადგინოს ყოველწლიური ანგარიშები შესახებ ადგილობრივი ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობისა, ნ) გამოსცეს ბიულეტენები, ყოველწლიური, პერიოდული და სხ. გამოცემანი. ო) შეადგინოს სია იმ პირთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პალატის წევრთა არჩევნებში. პ) შეასრულოს სხვა ვალდებულებანი, რომელნიც დაკისრებული აქვს პალატას მისი წესდებით; ჟ) იქონიოს ბიურო შესახებ ვაჭართა და მრეწველთა კრედიტის უნარისა.

§ 3. სავაჭრო პალატას საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლიან დაარსოს თვისი განყოფილებანი, მაგალითად ქუთაისში, ფოთში, სიღნაღში და სხვა სავაჭრო და სამრეწველო რაიონებში. პალატის განყოფილებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან მხოლოდ იმას ვისაც უფლება აქვს პალატის წევრთა არჩევისა. პალატის განყოფილება მოქმედებს თანახმად, ინსტრუქციისა, რომელიც უნდა შემუშავებულ იქმნას პალატის კომიტეტის მიერ და დადასტურდეს პალატის წევრთა საზოგადო კრების მიერ.

§ 4. სავაჭრო და სამრეწველო პალატას შეუძლიან იყოლიოს უცხოეთში სხვა და სხვა სამრეწველო რაიონებში თვისი კომერციული აგენტები, რომელნიც ასრულებენ სხვა და სხვა სავაჭრო და სამრეწველო ხასიათის მინდობილებას.

§ 5. სავაჭრო და სამრეწველო პალატას უფლება აქვს შეიძინოს საკუთრებად და ჩამოართვას, თანახმად კანონისა, უძრავი ქონება, დაიქირაოს მისთვის საჭირო შენობები და საზოგადოდ პალატის კომიტეტის სახელით ისეთი კანონიერი ხელშეკრულებანი დასდოს, რომელნიც ეთანხმება არსებულ კანონებს და ახორციელებს პალატის მიზანს.

§ 6. სავაჭრო-სამრეწველო პალატას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და წარწერით: „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ტფილისი".

§ 7. მართებლობის, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი, აგრეთვე კერძო პირნი, რომელიც ვაჭრობასა და მრეწველობას მისდევენ, ყოველგვარ დახმარებას უწევენ სავაჭრო და სამრეწველო პალატას. ამასთან ერთად პალატა ვალდებულია პასუხი მისცეს მართებლობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შეკითხვებს, რომელნიც ეხებიან პალატის მოქმედების ფარგალს.

§ 8. სავაჭრო და სამრეწველო პალატა ექვემდებარება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, და ემორჩილება მის ზედამხედველობას. იგი ვალდებულია წარუდგინოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ყოველწლიური ანგარიში შესახებ თვისი მოქმედებისა, შემოსავალ-გასავალის ხარჯთაღრიცხვა და სია პალატის პირადი შემადგენლობისა.

§ 9. მიწერ-მოწერა პალატისა, მართებლობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან არ მოითხოვს ხაღერბო გადასახადს.

### II. სავაჭრო და სამრეწველო პალატის შემადგენლობა.

§ 10. პალატა შესდგება 200 წევრისა და 50 კანდიდატისაგან, რომელნიც ირჩევიან საიდუმლო კენჭის ყრით სამი წლის ვადით, განურჩევლად სქესისა და არა ნაკლებ 21 წლისა. შეიძლება არჩეულ იქმნენ მხოლოდ ის პიროვნებანი, რომელთაც აღებული აქვთ მოწმობანი სავაჭრო-სამრეწველო, იჯარადრობისა ან პირადი ხელობისა. უცხოელთა და უცხოელ საზოგადოებათ, რომელნიც საქართველოში მოქმედებენ, საარჩევნო უფლება არა აქვთ.

§ 11. წარმომადგენლობა არჩევნებში შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში: ა) ამხანაგობა სრული ანუ ნდობისა გზავნის არჩევნებში ერთს ამხანაგს—რწმუნებულს; ბ.) სააქციო და სხვა საზოგადოება, ამხანაგობა ანუ კომპანია გზავნის ერთ დირექტორს, გამგეობის წევრს, საბჭოს ანუ სხვა კანონიერ წარმომადგენელს—ზემოხსენებულ საზოგადოებათა რწმუნებულს; გ.) მცირე წლოვანთათვის და იმ პირთათვის, რომელნიც იმყოფებიან ზედამხედველობისა და ოპეკის ქვეშ წარმომადგენლობა ეძლევათ მათ განსაკუთრებულ რწმუნებულთ. გარდა ამისა წარმომადგენლობა ეძლევა სხვასაც იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირნი ანუ დაწესებულებანი საამისო განცხადებას შეიტანენ პალატის კომიტეტში და მისგან დასტურს მიიღებენ. ყოველ პიროვნებას, საზოგადოებას ანუ დაწესებულებას პალატის წევრთა არჩევნებში აქვს უფლება მხოლოდ ერთი ხმისა. არც ერთ პიროვნებას არჩევნებში ორ ხმაზე მეტის უფლება არა აქვს—ერთი პირადისა და ერთიც მინდობილობით.

§ 12. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ და არ შეიძლება არჩეულ იქმნენ სავაჭრო და სამრეწველო პალატის წევრებად ის პირნი, რომელნიც ბოროტმოქმედებად არიან აღიარებულნი წინაშე პიროვნებისა და ქონებისა, რასაც მოსდევს ჩამორთმევა ანუ შეკვეცა უფლებათა, აგრეთვე ვინც გამოძიებაში ანუ სამართალშია მიცემული და ბრალად ედება ბოროტმოქმედება, რომელსაც იგივე სასჯელი მოსდევს, ვინც გაკოტრდა—სანამ გამოირკვეოდეს გაკოტრების თვისებანი, ხოლო გამორკვევის შემდეგ უფლება არჩევისა ეძლევა მხოლოდ იმას, ვისი გაკოტრებაც აღიარებულ იქნება უბედურ შემთხვევად.

§ 13. პალატის წევრთა ასარჩევად ამომრჩეველნი გაიყოფებიან ჯგუფებად რაიონების მიხედვით. რიცხვი პალატის წევრთა და კანდიდატთა, რომელნიც უნდა არჩეულ იქმნენ ამომრჩეველთა ცალ-ცალკე ჯგუფის მიერ, არჩევნების დაწყებამდე, უნდა განაწილდეს პალატის მიერ პროპორციულად სავაჭრო-სამრეწველო გადასახადისა (ძირითადისა და დამატებითისა), რომელიც გადახდილი ექნება ყოველ საარჩევნო ჯგუფს. წესი ამომრჩეველთა განაწილებისა ჯგუფებად და არჩევნებისა უნდა განმარტებულ იქმნეს მინისტრის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციით.

(დასასრული იქნება)


## განცხადება.

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა წესდების § 39 თანახმად იწვევს ბ. აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომლის საგანი შემდეგია;

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ და ამ მოხსენებიდან გამომდინარე კითხვების გარჩევა.
2. 1917 წლის კახეთის რკინის გზის ექსპლოატაციის ანგარიშის განხილვა.
3. მთავრობის მიერ ნება დართული თელავ-ჟინვანის ხაზის გასაყვანად, რომელიც შეაერთებს კახეთის რკინის გზას ულელტეხილის ხაზთან კავკასიის მთავარი ქედით, მთავრობას საშუალება უნდა ეთხოვოს.
4. მთავრობას უნდა ეთხოვოს თელავ-ახმეტის ხაზის გაყვანის ნებართვა.
5. გამგეობის ორი დირექტორის და დირექტორის ერთი კანდიდატის ამორჩევა.

საერთო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3—2